№ 2648
შაბათი,
23 ოქტომბერი

ცნობის ფურცელი

№ 2648
შაბათი,
23 ოქტომბერი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვში და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 373.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული“
სურათებით
გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის
თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.
წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.
ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან.
რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასა.
ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.
(0—გ.15)
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რეევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნების. ტელეფონი № 679. (0—176)

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
შაბათს, 23 ოქტომბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება „ნერონი“ ოპერა 4 მოქ., მუს. რუბინშტეინისა,
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დმიტრიევა-პოკასოვსკაია, ტომკევიჩი, ტულლერი, შიხუტსკაია; ბ-ნნი: ბაქენოვი, დონსკოი, ზალინსკი, მურატოვი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
24 ოქტ.—„ვერტერი“; 25 ოქტ.—იაფ-ფასიანი წარმ.—„M-lle ფიფი“. გამგე ი. ა. კელლერი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
მ. ტ. მუდინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. კამოიძე.—საზარდლე ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.
ლ. ი, კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
მმ. ქალი ე. ქ. იოსელიანი.—ქალისა და [illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
მ. ა. ზიდირი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
ლ. ი. მონინი.—ქალისა, [illegible] და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირათ. 1—2 საათამდე.
მ. ს. მუხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
მრ. მ. ხოზოლმეხძე.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.
საღამოთი:
მ. მ. ხოზოლმეხძე.—ხირურგია და ორტოპედია. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში მწოლიარეები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს [illegible] მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № [illegible]. [illegible] ქუჩიდან-კი 34 В.
ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქ. კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, №№ 32, 21, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

ქუთაისში, ექიმი
მიხეილ ივანეს ძე ჩხენკელი
იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს, ტფილისის ქუჩა, სამსონ აბდუშელიშვილის სახლი. (30—6—28)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible] ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ქ. ნ. თეთრაძე
მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. [illegible], № 24, აფთიაქის თავზე. (30—332—18(
დათმ. (თვ.—5.—19)

ექიმი
მ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—6 საღ. მიხეილის პრ. № 154. ტელეფონი № 825. (90—296—20)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—9)

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანის ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 სა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

21 ოქტომბერი

ჩიფუ, 20 ოქტომბერი („რეიტერი“). პორტ-არტურის საერთო იერიში არ შეწყვეტილა. ჩიფუში მთელი დღე პორტ-არტურის საალყო ზარბაზნების ხმა ისმის. თუ იაპონელებს 50 ათას კაცის დაკარგვა არ შეაყენებს, პორტ-არტურს დღესვე აიღებენ. როცა ყველა დანარჩენ სიმაგრეებს აიღებენ, ვეფხვისა, ოქროს გორასა და ლიაოტეშანის სიმაგრეები კიდევ დიდ ხანს გაუმაგრდებიან მტერს, თუ საკმაო სამხედრო მასალა დაურჩათ.

ჩიფუ, 21 ოქტომბერი („რეიტერი“). უკანასკნელ ცნობებით, იაპონელებს ისე გაუმარჯვნიათ ამ ბოლო დროს პორტ-არტურთან, რომ უმთავრესს სიმაგრეების პირველსავე შტურმზე აიღებენ ციხეს. იაპონელების აზრით, რუსები, თუ არ დანებდნენ, ერთ თვეს კიდევ გამაგრდებიან ლიაოტეშანსა და ვეფხვის კუდზე.

ტოკიო, 21 ოქტომბერი („რეიტერი“). მიკადოს დაბადების დღეს სასახლეში გაიმართა საუზმე. მიკადო მოკლე სიტყვით მიეგება უცხოელ დიპლომატებსა და, სხვათა შორის, სთქვა: „ვწუხვართ, რომ, ჩვენის სურვილისამებრ, მშვიდობიანობა შორეულ-აღმოსავლეთში ჯერაც არ აღდგენილაო.“

ვენა, 20 ოქტომბერი („კორესპ. ბიურო“). „ვინერ ალგემაინ ცაიტუნგ“-ში დაიბეჭდა ნალაპარაკევი პაპს პიოს მე-X-სთან, რომელსაც ნება დაურთავს ამ ნალაპარაკევის დაბეჭდვისა. პაპს დიდის მწუხარებით ულაპარაკნია ომის შესახებ და უთქვამს, ვწუხვარ, რომ განათლებული ერნი გულ-გრილად უყურებენ ამ ჟლეტა-ხოცვას და საერთო ძალ-ღონით ვერ ახერხებენ ომის მოსპობასაო. დასასრულ პაპს სურვილი გამოუთქვამს, რომ განგებამ რაც შეიძლება ჩქარა მოუღოს ბოლო ამ სისხლის მღვრელ ომსაო.

ჰული, 20 ოქტომბერი („რეიტ. სააგ.“). ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარ ინციდენტის გამოძიება დასრულდა. სასამართლომ სცნა, რომ მეთევზეებისათვის გასაფრთხილებელი სიგნალი არ მიეცათ, პირდაპირ ყუმბარა დაუშინათ და ხალხი დაეხოცათო. სასამართლომ სიამოვნება გამოსთქვა იმის გამო, რომ ორივე მთავრობა მორიგებას ცდილობს და თანაგრძნობა გამოუცხადა დაჭრილებსა და იმათ ნათესავებს.

ლონდონი, 21 ოქტომბერი („რეიტერის სააგ.“). ბალფურმა, ავადმყოფობისა გამო გადაჭრით გამოაცხადა: ჰილდგოლსა და სხვა ადგილას დანიშნულ პოლიტიკურ კრებებში მონაწილეობას ვერ მივიღებო.

ლონდონი. 21 ოქტომბერი („რეიტერი“). გუშინ ჰულში გამოძიების დროს ბევრმა მეთევზემ სთქვა, რომ მეთევზის გემებში ნაღმიანი გემები არ ერია და მეთევზის გემები გარეგნობით არა ჰგვანან ნაღმიან გემებსაო.

პარიზი, 21 ოქტომბერს ვიგოდან მოსული რუსის აფიცრები პეტერბურგს წავიდნენ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

21 ოქტომბერი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა, მისს უდიდებულესობას 21 ოქტომბერს: „18 ოქტომბრის ღამეს ჩვენი ჯარის-კაცნი შეუმჩნევლად მიეპარნენ იაპონელთა თხრილებს, თავს დაეცნენ იქ მომუშავეთ და გაანადგურეს ნამუშევარი. 19 ოქტომბრის ღამეს ჯარის კაცებმა დაზვერეს მოწინავე რაზმები იაპონელებისა. მოხსენება ცოტათ თუ ბევრად თვალსაჩინო შეტაკებების შესახებ არ მიმიღია. ჩვენი ჯარის-კაცები ღამ-ღამე ხშირად აფრთხობენ და აშინებენ მოწინააღმდეგეს. იაპონელები ხშირად ასტეხენ ხოლმე უნაყოფო სროლას. 20 ოქტომბრის ღამეს მოხსენებები შეტაკებების შესახებ არ მიმიღია. ეტყობა, იაპონელები ჯარს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ჰგზავნიან“.

ხუანშანი, 21 ოქტომბერი. გუშინდელმა დღემ და ღამემ წყნარად ჩაიარა. დღეს, დილით 7 საათზე დაიწყო ზარბაზნების გრიალი, რომელიც მისწყდა ნახევარი საათის შემდეგ. იაპონელები ცოტა ხანს შეჩერდნენ, შემდეგ შიმოზეთი შეზავებული ყუმბარები და შრაპნელი დაუშინეს პუტილოვის სოპკას. იაპონელები ისროდნენ ხუნშაოტანის სოპკიდან. ჩვენმა ბატარეებმაც პასუხი გასცეს.

შანჰაი, 21 ოქტომბერი. შანჰაის გაზეთ „ჩაინა“-ში დაბეჭდილია 6 ოქტომბერს ნიუ-იორკიდან გამოგზავნილი ამბავი: ამერიკიდან იაპონიაში გაიგზავნა ხუთი წყლის ქვეშ მავალი ნავი. ეს ნავები ოთხი მილიონი დაჯდა. ნავები დაშლილი გაგზავნეს 17 ფლატფორმითა და 6 ვაგონით. ამ ნავების ამბავს საიდუმლოდ ინახავენო.

ვლადივოსტოკი, 21 ოქტომბერი. „წითელის ჯვრის“ მოსამსახურეებმა გააცილეს პეტერბურგს მიმავალი „წითელის ჯვრის“ რწმუნებული თავადი ვასილჩიკოვი, რომელსაც დიდი თანამდებობა მიეცა შინაგან საქმეთა სამინისტროში.

ლიაოიანსა და მუკდენს შუა მომხდარ ბრძოლის შემდეგ ვლადივოსტოკის საავადმყოფოებში დიდ-ძალი დაჭრილი დააწვინეს. ამ ჟამად აქაურ საავადმყოფოებში წევრს 600 აფიცერი და 16,000 სალდათი.

ტოკიო, 21 ოქტომბერი. 19 ოქტომბერს გამოაქვეყნეს პორტ-არტურთან მყოფ იაპონიის ჯარის უფროსის გენერალ ნოგის მოხსენება. 19 ოქტომბერს იაპონელთა ზარბაზნებს დაუზიანებიათ რუსის ხუთი გემი. იაპონიის ჯარი ყოველ ღონესა ხმარობს აიღოს ციხე.

ტანჟერი, 21 ოქტომბერი. მოვიდა გემები „კნიაზ სუვოროვი“, რომელზედაც ადმირალის როჟესტვენსკის დროშაა, ჯავშნიანი გემები „ორიოლი“, „ბოროდინო“, „იმპერატორი ალექსანდრე მე-III“ და ტრანსპორტი „ანადირი“. ნავთ-სადგურში მყოფი გემები ზარბაზნების სროლით მიეგებნენ რუსის ადმირალს.

ლონდონი, 21 ოქტომბერი. ჰულის სასამართლომ დაამთავრა გამოძიება ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარ ამბისა. სასამართლოს აზრით, მეთევზეები მოჰკლეს იმ დროს, როდესაც „კრენ“-ზე თევზს იჭერდნენ, რუსებმა წინ-და-წინვე ნიშანი არ მისცეს და ეს სროლეს მეოთხედ მილის მანძილიდანაო.

22 ოქტომბერი

მუკდენი, 21 ოქტომბერი. გუშინ იაპონელებმა მახლობელ მაღლობებიდან ყუმბარები დაუშინეს სოფელს სახეპუს, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ ერთი ზარბაზანი დაუზიანა, ამიტომ სროლა შესწყვიტეს. ცენტრში იაპონელებმა სროლა დაუწყეს პუტილოვის სოპკას, მაგრამ უნაყოფოდ. იაპონელებს უნდოდათ თავიანთი ბატარეები დაედგათ მახლობელ გორაკებზედ.

ტანჟერი, 21 ოქტომბერი. ჯავშნიანი გემები, „ოსლიაბა“, „სისოი ველიკი“ და კრეისერები „დმიტრი დონსკოი“, „ადმირალ ნახიმოვი“, კრიტოსზე კონტრ-ადმირალის ფელკერზამის უფროსობით წავლენ.

ტანჟერი, 21 ოქტომბერი. დღეს აქ მოვიდა ადმირალის როჟესტვენსკის უფროსობით ჯავშნიან გემთა პირველი რაზმი. ამინდი ლიბავიდანვე ხელს უწყობდა მგზავრობას. ვიგოში ყოფნის დროს მცხოვრებნი მეგობრულად ექცეოდნენ რუსებს. ადმირალ როჟესტვენსკის, როდესაც სადარბაზოდ დადიოდა მოხელეებთან, ოვაციებით ეგებებოდნენ. მთელი ესკადრა ნახშირით იტვირთება და ემზადება წასასვლელად. მეზღვაურნი ჯანმრთელად არიან. ყველა წინ მიისწრაფვის.

ჩიფუ, 21 ოქტომბერი. იაპონელების მიერ დაწყებული შტურმი გამარჯვებით ვერ გათავდა. სიმაგრეები ვერ დაიპყრეს. აქ მყოფი იაპონელები ამბობენ, რომ პორტ-არტურთან მყოფ ჯარიდან მივიღეთ სარწმუნო, მაგრამ არა საიდუმლო? ცნობებიო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-3 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. გენ.-ად. კუროპატკინის გუშინდელ დეპეშიდან სჩანს, რომ 18, 19 და 20 ოქტომბერს ბრძოლა არ მომხდარა. ეტყობა, რუსებიც და იაპონელებიც ბეჯითად ზვერენ ერთმანეთის ჯარსა. აქამდე იაპონელებს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადაჰყავდათ ჯარი, ეხლა-კი, როგორც გენ. კუროპატკინი იწერება, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადაჰყავთ. როდის მოხდება ბრძოლა და როდის გადასწყდება მუკდენის ბედი, ჯერ არა სჩანს. ზოგი ირწმუნება, საცაა დიდი ბრძოლა გაიმართებაო, ზოგი ამბობს: არა, ჯერ კარგა ხანს სიჩუმე იქნება სამხედრო მოქმედების ასპარეზზეო. ჯერ იაპონელებიცა და რუსებიც ჯარს ასვენებენ, სურსათს ეზიდებიან და მომავალ ბრძოლისათვის ემზადებიანო. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ს. კ. სწერს: „რუსები და იაპონელები მდ. შახეს პირად დგანან და იერიშის მიტანასა და ბრძოლას ჯერ არც ერთი მხარე არ აპირობს. იანტაისთანა და მდ. შახეზე ორსავ არმიას დიდი ზარალი მოუვიდათ. რუსულ გაზეთების კერძო დეპეშებიდან სჩანს, რომ ბევრ რუსის პოლკში 600—800 კაცი ძლივს დარჩენილა. დაჭრილ და მოკლულ აფიცრების სიიდან სჩანს, რომ იანტაისთან და მდ. შახეზე ყველაზე მეტი ზარალი ახლად ჩასულ არმიის პირველ კორპუსსა და ციმბირის მე-5 და მე-6 კორპუსებს მოსვლიათ. ასე რომ გენ. კუროპატკინს თითქმის მთელი თავისი საზოგადო რეზერვიც მიუშველებია ჯარისათვის უკანასკნელ ბრძოლის დროს დაეხლა, სანამ მე-8 კორპუსის მე-14 დივიზია არ ჩავა, ერთი შესვენებული, დაუზარალებელი დივიზია აღარა ჰყავს. ამას გარდა გენ. კუროპატკინს ჯერ ცოტა აქვს მძიმე ზარბაზნები. რუსეთის სამხედრო სამინისტრომ გადასწყვიტა, რომ გენ. კუროპატკინს მანჯურიაში 164 დიდი საალყე ზარბაზანი უნდა გაეგზავნოსო. აგვისტოში, ლიაოიანის ბრძოლის დროს, გენ. კუროპატკინს სულ 22 საალყე ზარბაზანი ჰქონდა. ოქტომბრის დამდეგს კიდევ მიჰსვლია დიდი ზარბაზნები, მაგრამ მაინც ესეც არა კმარა. ეტყობა, სანამ საალყე ზარბაზნები ბლომად არ ჩაუვა, გენ. კუროპატკინი იერიშს არ მიიტანს იაპონელებზე. რვა თვის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ეხლანდელ ომის დროს საალყე ზარბაზნები საჭირო ყოფილა, უიმათოდ არმია იოლას ვერ წავა და მარტო საველე ზარბაზნებითა და შრაპნელით ქვის კედლებსა და სქელ მიწის სანგრებს ვერაფერს ვერ აკლებს. ამ სიმაგრეების დასანგრევად უეჭველად საჭიროა მძიმე ზარბაზნები და ასაფეთქებელი ყუმბარა. იაპონელებმა ომამდე იცოდნენ ესა და პირველი ბრძოლის დროსვე ტიურენჩენთან 12 საალყე ზარბაზნით ხელად დაანგრიეს ორის თვის განმავლობაში აშენებული რუსის სიმაგრეები და სანგრები. ამას გარდა, რუსეთის სამხედრო სამინისტრომ ტყვიის მტყორცნელების სიცოტავესაც მიაქცია ყურადღება. რუსის კორესპონდენტები ერთხმად ირწმუნებიან, ტყვიის მტყორცნელები შესანიშნავი იარაღია, ახლო მანძილზე ტყვიის მტყორცნელს ვერც ერთი ზარბაზანი ვერ შეედრებაო. იაპონელებს ბლომად აქვთ ტყვიის მტყორცნელები და რუსის ჯარის იერიში ხშირად მოუგერებიათ ამ საშინელ იარაღით. იაპონელები მჯვერავ ცხენოსან და ქვეითა რაზმებსაც კი ატანენ ტყვიის მტყორცნელებს. სწორედ არ ვიცით, რამდენი ტყვიის მტყორცნელი აქვს მარშალ ოიამას არმიას, მაგრამ სხვა-და-სხვა ცნობებიდან სჩანს, რომ იაპონელებს სულ მცირედ 70-80 ტყვიის მტყორცნელი მაინც უნდა ჰქონდეთ. რუსის არმიას კი ომის დაწყების დროს მხოლოდ 8 ტყვიის მტყორცნელი ჰქონდა და ისიც იაპონელებმა წაართვეს ტიურენჩენთან. ტიურენჩენის შემდეგ კიდევ 24 ტყვიის მტყორცნელი გაუგზავნეს გენ. კუროპატკინს. რუსეთში არმიას კიდევ აქვს 32 ტყვიის მტყორცნელი. თუ ამასაც მანჯურიაში გაჰგზავნიან, გენ. კუროპატკინს სულ 56 ტყვიის მტყორცნელი ექნება.... ბოლოს დროს გამოირკვა, რომ იაპონელებს მანჯურიაში არა ჰყოლიათ იმდენი ჯარი, რამდენიც წინად გვეგონა. ეხლა გამოჩნდა, რომ მარშალ ოიამას მანჯურიაში 12 მომქმედი და 11 სარეზერვო დივიზია, ანუ 290 ათასი ჯარის კაცი ჰყოლია. ამას გარდა ერთი განცალკევებული საარტილერიო ბრიგადა (3 ათასი კაცი), 2 ცხენოსანი ბრიგადა (3 ათასი კაცი), კორეელების პოლკი (3 ათასი კაცი), რკინის გზის ბატალიონი, 14 ტყვიის მტყორცნელი როტა, მძიმე არტილერია და სხვა საგანგებო რაზმებიც ჰყავს. სულ მარშალ ოიამას 300 ათასამდე კაცი ეყოლება. ჩვენის აზრით, მარშალი ოიამა ამ ჟამად მაშველ ჯარს ელის იაპონიიდან და სანამ ეს ჯარი არ მოუვა, იერიშს არ მოიტანს რუსის არმიაზე.

იგივე მიმომხილველი ჰფიქრობს, რომ მარშალ ოიამას მანჯურიაში სულ 80 საალყე ზარბაზანი ექნებაო. როცა გენ. კუროპატკინს სრულად ჩაუვა მძიმე არტილერია (164 ზარბაზანი), რუსის არმიას იაპონელებზე მეტი საალყე ზარბაზანი ექნება, რასაკვირველია, სანამ გენ. ნოგი პორტ-არტურს აიღებს, რადგან პორტ-არტურთან იაპონელებს დიდძალი მძიმე ზარბაზანი აქვთო.

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: დღეს, 16 ოქტომბერს, აქ გენ. ლინევიჩს მოელიან. ლინევიჩი ძლიერ უყვარს ციმბირის ჯარსა, სალდათები „მამას“ და „პაპას“ ეძახიან. უეჭველია, ციმბირის ჯარი თავის საყვარელ სარდლის უფროსობის ქვეშ უფრო მეტ მამაცობას გამოიჩენს.

„რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი დეპეშით იუწყება გენ. ოკუს მთავარ სადგომიდან: იაპონიის [illegible] ქვანახშირს იანტაის მაღარო სადგ[illegible] ილებს. რკინის გზის ლიანდაგი სად[illegible] იანტაიმდე გააკეთეს. რკინის გზით იაპონელებს დიდძალი სამხედრო და საკვები სურსათი მოსდითო. („რ. ვ.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება: რუსეთმა 400 მილიონი მანეთი გადასდო ახალ ფლოტის ასაშენებლადაო. ეს ფლოტი, მეტ ნაწილად, გერმანიაში აშენდებაო.

ბ-ნი გარინი სწერს „ნოვოსტი დნია“-ში: ლიაოიანიდან ერთი რუსის ექიმი დაბრუნდა მუკდენში; იაპონელებს დაეტყვევებინათ და მერე ისევ გამოუშვათ. ექიმი ამბობს, გენ. ოკუმ კარგად მიმიღო და მეორე დღეს გამანთავისუფლაო. იაპონელებმა ორიოდე დღეში საკვირველად გაასუფთავეს ლიაოიანი; ქუჩები გაასწორეს, ქვიშა დააყარესო. ერთის სიტყვით ლიაოიანი ეხლა ნამდვილი ქალაქია და არა წუმპე, როგორც წინად იყოო.

ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარი ამბავი. მეთევზის გემ „მენდელეი“-ს მატროსს უამბნია „დეილი ნიუს“-ის თანამშრომლისათვის: „8 ოქტომბერს ღამეს ზღვაში თევზს ვიჭერდით ბადეებით. უცებ ჩრდილოეთისაკენ სინათლე გამოჩნდა. ჩვენმა შკიპერმა სთქვა, ეს პროჟექტორი იქნებაო. როცა პროჟექტორის სხივმა ზღვა და მეთევზეების ფლოტილია ძალზე გაანათა, ჩვენც დავრწმუნდით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შკიპერმა სწორედ გამოიცნო. მერე სინათლე გაქრა და შკიპერმა ნავებს სხვა ადგილას გადაყვანა მოუნდომა. ის იყო სთქვა, „აქ თევზი არაა, იქით გადავიდეთო“ და იმ დროს უცებ ჩვენ ფლოტილიას თვალის მომჭრელი სინათლე მოადგა. იმავ წუთს ბნელაში ორი თეთრი და ერთი წითელი სინათლეც გამოჩნდა. მივხვდით, რომ ეს სიგნალი იყო. მაშინვე ასმა ზარბაზანმა მაინც დაიქუხა და მეთევზეებს ყუმბარა დაუშინა. მეთევზეების ფლოტილიის უფროსმა ჯერ წინადვე მისცა ორი მწვანე სიგნალი და ეხლაც კიდევ ოთხი სიგნალი მისცა და გააგებინა, აქ თევზს ვიჭერთო. მაგრამ ამ სიგნალებს თითქო უფრო ძლიერი ზარბაზნის სროლა მოჰყვა. რამდენადაც გავარჩიეთ, ჩვენ წინ ექვსი ჯავშნიანი გემი იდგა და როგორც ანძის („მაჩტის“) ფანრებზე შევატყეთ, ბრძოლის რიგზე იყო გამწკრივებული. ზარბაზნის სროლის დროს მთელ ფლოტს თითქო ცეცხლის რგოლი ერტყა გარსო. თუმცა ჩვენ ორის მილის მანძილზე ვიდექით ესკადრიდან და ღამეც ჯანყიანი იყო, მაგრამ პროჟექტორი გაანათებდა თუ არა ხოლმე ჩვენს გემს, ყველას თითქმის გვაბრმავებდა. სროლამ 20 წამს გასტანა. ვიფიქრეთ, ეს, ალბად, ჩვენი ლამანშის ესკადრა ვარჯიშობს სროლაშიო. ამხანგებს ვუთხარი: „აფსუსია, რომ ამისთანა მშვენიერ სანახავს კაცმა კარგად არ უყუროს. მაღლა ანძაზე ავალ, რომ არაფერი არ გამომეპაროს-მეთქი“. ნამდვილად კი თურმე საზარელი სანახავი ყოფილიყო. მე რომ მცოდნოდა, თუ რანაირად ანადგურებდა ეს ესკადრა ჩვენის მეთევზეების გემებს, რაღა თქმა უნდა, ძირს დავრჩებოდი, მაღლა აღარ ავიდოდი, მაგრამ ჩვენ არაფერი არ ვიცოდით. საბედნიეროდ, ყუმბარა არა გვხვდებოდა და ზარალი არ მოგვსვლია. ზარბაზანი ყველა მხრიდან სჭექდა. უცებ ცაში წითელი და თეთრი შუშხუნები ავარდა, სროლა უცებ შეწყდა და სამხედრო გემები ორიოდე წუთის შემდეგ სამხრეთისაკენ წავიდნენ. ჩვენი გემი „მენდელეი“ გათენებამდე არხეინად იჭერდა თევზსა და მხოლოდ დილით გავიგეთ, რა საზარელ სანახავს ვუცქეროდით თურმე ღამეს. („ნ.“).

„პტი ჟურნალ“-ი სწერს: ად. როჟესტვენსკის ესკადრა ორ რაზმადაა დაყოფილი: ერთს რაზმს ადმ. ენკვისტი უფროსობს, მეორეს ადმ. ფელკერზამი. ინგლისელ მეთევზეებთან შეტაკება ადმ. ფელკერზამის რაზმს მოუვიდა, თითონ ად. როჟესტვენსკი იმ დროს იქ არა ყოფილა. („ნ. დ.“).

„ეკო დე პარი“ იუწყება: ინგლისის სახლვაო აგენტმა გააფრთხილა რუსეთის სახლვაო მთავარ-შტაბის უფროსი ადმირალი ვირენიუსი, პორტუგალიის ახლო ინგლისელი მეთევზეები იჭერენ თევზსა და გთხოვთ ადმირალ როჟესტვენსკის შეატყობინოთ, რომ კიდევ ამბავი არა მოხდეს-რაო. ადმ. ვირენიუსმა უპასუხა, ვიგოში გემი გავგზავნეთ ესკადრის გასაფრთხილებლადაო. („ნ. დ.“).

ინგლისის პირველ მინისტრს ბალფურს 15 ოქტომბერს სოუტგამპტონში სიტყვა წარმოუთქვამს ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარ ინციდენტის გამო და, სხვათა შორის, უთქვამს: ადმირალმა როჟესტვენსკიმ მოახსენა რუსეთის სახლვაო შტაბს, ორი ნაღმიანი გემი დაგვეცაო. დასაჯერებელი არაა, რომ იაპონელებს ჩრდილოეთ ზღვაში ნაღმიანი გემები გაეგზავნოთო... („მ. ვ.“).

„რუსკია ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: განათლებულმა ქვეყნიერობამ თავისუფლად ამოისუნთქა, როცა 15 ოქტომბერს ნაშუადღევს ამბავი მოვიდა, რომ რუსეთი და ინგლისი სამედიატორო კომისიას გადასცემენ გადასაწყვეტად თავიანთ სადავო საქმესაო. გერმანელ სპეციალისტებს სრულიად შეუძლებლად მიაჩნიათ, რომ ინგლისის ზღვაში იაპონიის ნაღმიანი გემები ყოფილიყვნენ.

გერმანულ გაზ. „ლოკალ ანცაიგერ“-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: 15 ოქტომბრამდე მთელი ინგლისი ომს ელოდაო. ლიბერალური გაზეთები ჰკითხულობდნენ, თუ რუსეთთან ომი მოგვივიდა, საფრანგეთი მოვალეა უშველოს რუსეთს, თუ არაო. ვაი თუ ეხლაც ისე მოხდეს, როგორც 1899 წელს მოხდა: სანამ ომი არ დაიწყო, არ ვიცოდით, რომ ტრანსვაალს ორანჟის რესპუბლიკაც უშველიდაო. მაგრამ თვით ლიბერალური გაზეთებიც-კი სწერდნენ, რომ თუ რუსეთი ჩვენს მოთხოვნილებას არ შეასრულებს, ინგლისმა არაფერს არ უნდა დაჰხედოს და უსათუოდ ომი უნდა გამოუცხადოსო. ყველაზე მეტად ინგლისური პრესსა „დამნაშავეთა დასჯას“ თხოულობდა. („ნ. დ.“).

ომში

მოკლულნი, დაჭრილნი და ტყვედ წაყვანილნი

მთავარ შტაბის განსაკუთრებული განყოფილება აცხადებს მოკლულთა, დაჭრილთა და ბრძოლის ველზე დარჩენილთა სიას:

29 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე: მოკლულ იქნენ: პოლკოვნიკი—პანკოვი; პოდპოლკოვნიკები—ვლადიმიროვი, ფრუქტოვი და პენტკო; კაპიტნები—პერეხვალსკი და კორიაკინი; შტაბს-კაპიტნები—მიხაილოვი, ლილოვი და ბესსონოვი; პორუჩიკები—ბორისოვი, ჩერეპანოვი და ჟუკოვი; პოდპორუჩიკები—კონჩუაშვილი (არჩილ სოლომონის ძე, აღმოსავლეთ ციმბირის მე-34-ე პოლკის პოდპორუჩიკი), ბრონიკოვი, არხანგელსკი და სისოევი; ზაურიად-პრაპორშჩიკი—გერასიმუკი.

დაიჭრნენ: პოდპოლკოვნიკები—აგაპოვი, ლიხაჩოვი, შერემეტევი, ბორისოვი, ფონ-მანშტეინი და რომანენკო; კაპიტნები შიმანოვსკი, სვისტუნი, ხილჩენკო სოლოვიოვი, ანცუტა, ბაიკოვი, სერებრიანიკოვი, პოდსტანეცკი, პონომარევი, ნოვიკოვი და იურკევიჩი; შტაბს-კაპიტნები—იუდიცკი, შტარკი, ანჟრეევი, გრჟევიცკი, ფრიდენბერგი, ტეპლოვი, რუბლევსკი, იაკოვლევი და ობნოსოვი; პორუჩიკები—ხომიაკი, სპერანსკი, სონდაგი და პანაევი; პოდპორუჩიკები—ლუკაშევსკი, ნაზარევსკი, ცომაია (ივანე მაქსიმეს ძე) პავლოვსკი, შესტაკოვსკი, ზუბოვი, გარიუნოვი, ბორეცკი, ონაცევიჩი, სუშინსკი, ტანუტროვი, პოტერმანი, ვადეცკი, ტილლე, ჩუპურნი, კოხირევი, ტიმკოვსკი, განკევიჩი, ჩარკოვი, დობროგორსკი, რუმიანცევი ლუჩინსკი, სელივა, გურიაკოვი და ზნედებორი; პრაპორშჩიკები—ობლეცევი, სკალოვი, ჩერკა, ივანჩურა, კონოვალოვი, შკურინი და ლაგოდა; ვოისკოვოი სტარშინა—ჩერნიკოვი და ხორუნჟი შემეტოვი.

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 22 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე ბაქოს გზით ტფილისში მოვიდა სრულიად რუსეთის სამხედრო სასწავლებელთა უფროსი **დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე**. მისს უმაღლესობას სადგურზე დაჰხვდნენ მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალი ფრეზე, ტფილისის გუბერნატორი, გუბერნიის მარშალი და სხვანი. დიდმა მთავარმა სადგურიდან მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელთან შეიარა და შემდეგ, ნაშუადღევს 5 საათზე, კადეტთა კორპუსში მივიდა.

✦ როგორც ზემოდ დაბეჭდილ სიიდანა სჩანს, ბრძოლის ველზე **მოუკლავთ** პოდპორუჩიკი არჩილ სოლომონის ძე კონჩუაშვილი და დაუჭრიათ ივანე მაქსიმეს ძე ცომაია.

✦ „ინვალიდ“-ში დაბეჭდილია მეექვსე სია **იაპონელთა მიერ წაყვანილ ტყვეებისა**. სიაში, სხვათა შორის, მოქცეულია ორი ქართველი სალდათი—ორლოვის მე-36 პოლკისა არსენ სვანიძე და აღმოსავლეთ ციმბირის მე-36 პოლკისა გრიგოლ მაღარაშვილი. ორივენი ჯანმრთელად და კარგად არიან.

✦ 19 და 20 ოქტომბერს ბაქოში **ხოლერით** ავად გამხდარა მხოლოდ ორი კაცი. 10 ოქტომბრამდე ბაქოში სულ ავად გამხდარა 359 სული. აქედან 238 ქალი ყოფილა, 121 კაცი.

✦ ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ჩერქეზიშვილმა უკვე წარუდგინა სათანადო მთავრობას საბჭოს დადგენილება ქალაქის მოურავად **ქ. ა. ვერმიშევის** არჩევის შესახებ. ბ-ნი ვერმიშევი პეტერბურგს წავიდა.

✦ უწმ. სინოდმა 22 სექტემბერს ამა წელს გადასწყვიტა, სოხუმის ოლქში მოსკვის მიძინების ეკკლესიასთან დაარსდეს **ქალთა მონასტერი**.

✦ სოფ. მიქელ-გაბრიელში (გურია), როგორც ბათუმური გაზეთი გადმოგვცემს, 16 ოქტომბერს **მოუკლავთ გრიგოლ ჯაყელის მოურავი** მევარკაცი მოქია.

✦ ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ წინადადება მისცა მოქალაქეთა გამგეობას, დაუყოვნებლივ შეუდგეს **საერთო გადასახდთა ნედოიმკების შეკრებას**. თუ სიღარიბისა გამო რომელსამე მოქალაქეს არ შეეძლიან ფულის გადახდა, იგი ყველა მოქალაქეებს უნდა გაეწეროს.

✦ რადგან ამიერ-კავკასიის **რკინის გზაზე** დიდი სიძვირეა მოძრაობის აგენტებისა, რკინის გზის გამგეობამ ნება დართო სამსახურის შესასწავლად მოძრაობის სკოლაში შევიდნენ ხოლმე დაბალი მოსამსახურენი, რომელთაც განათლების ცენზი არა აქვთ.

✦ **სიღნაღში** არსდება **ახალი საზოგადოება**, რომელმაც უნდა დახმარება აღმოუჩინოს ქალთა ადგილობრივ პროგიმნაზიის ღარიბ მოსწავლე ქალებს. საზოგადოების დამაარსებელთ წესდება გადაუციათ სახალხო სკოლების დირექტორისთვის, რომელმაც გუშინ ეს წესდება გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად.

✦ ტფილისის **პირუტყვთა მფარველმა საზოგადოებამ** თავის თავმჯდომარედ, ამას წინად გარდაცვალებულ რეიტერის ნაცვლად, აარჩია გენერალ-მაიორი პ. ფ. ფონ-პარკაუ.

✦ რედაქციამ მიიღო განახლებულ **საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის“** პირველი ნომერი. ვბეჭდავთ აქვე ამ ნომრის მთელ შინაარსს:

ლაზარეს ჩივილი—შ. მღვიმელისა; გომბეშო, ამბავი ფრანგულიდან)—ტასოსი, თამარ-მეფე და გლახა—გ. წყალტუბელისა, პატარა სურათი—ილიკოსი, კამბეჩები და ვეფხვი (რუსულიდან)—ტასოსი, ნაწვალი კაკაბი (ფრანგულიდან)—ალ. სარაჯიშვილისა, ნაფოტა თევზის თავ-გადასავალი,—ვ. მიქაბერიძისა, სტეფანე ზუბალაშვილი (ნეკროლოგი)—კლდიასი, გულადი—მოთხრობა უიდისა, თარგ. ს. ციციშვილისა, ფიზიკური გეოგრაფია, პროფესორ გეიკისა, თარგმ. სან-ინისა, ცეფალი და პროკრიდა (ოვიდიუსი)—ალ. ყუმისთაველისა, წერილმანი; ანდაზები, გამოცანა, ზმა, შარადა, სიტყვების ამოცანა, სათამაშო გასართობი და რებუსი. ჟურნალს ჩართული აქვს თავში ფერადი სურათი ლექსით.

✦ ამას წინად ტფილისის ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა ერევნის მოედნიდან დაწყებული აბანოებამდე ესრედ წოდებული **სომხის ბაზრის** ქუჩა გააფართოვოს ტრამვაის გასატარებლად. ადგილების დასათმობად მეპატრონეებთან მოლაპარაკება და შეთანხმება დაევალა განსაკუთრებულ კომისიას. ამ კომისიამ 31 ოქტომბრისთვის დანიშნა ადგილების და სახლის პატრონებთა კრება აღნიშნულ საქმეზე მოსალაპარაკებლად.

✦ ზემო-ავჭალის მცირე-წლოვან დამნაშავეთა ახალშენში ამჟამად 30 მცირე წლოვანი ემაწვილია. ამათგან მედურგლეობას სწავლობს 17, ხოლო მეჩექმეობას—13.

✦ 20 ოქტომბერს სხდომა ჰქონდა ტფ. ქალაქის საბჭოს იმ კომისიას, რომელმაც საამშენებლო განყოფილების ინსტრუქცია უნდა გადაათვალიეროს და შეასწოროს. ამავე კომისიას დაევალა ინსტრუქციის შემუშავება ქალაქის უბნის არქიტექტორებისათვის. კომისიამ ამ სხდომაზედ დაადგინა, სთხოვოს რუსეთის კარგად მოწყობილ ქალაქების გამგეობებს გამოუგზავნონ კომისიას ინსტრუქციები. ამ გვარად შეჰკრებავს კომისია მასალას და შემდეგ შეუდგება შემუშავებას.

ტფილისის ქალაქის საბჭო

19 ოქტომბერი

დაბრუნდა თუ არა პეტერბურგიდან ქალაქის მოურავი, მეორე დღესვე საბჭოს კრება მოხდა. ამ კრებაზე განხილული უფრო საყურადღებო საქმეები შემდეგი იყო. საბჭოს ეუწყა მესამე საობლიგაციო (2.000.000 მანეთის) სესხის პირობების დამტკიცება. ეუწყა აგრეთვე ცხენის რკინის გზის ლიანდაგის გეგმის დამტკიცება, რომელსაც სიგძე 980 საჟენი ექნება და რომელიც ქალაქს 23.000 მანეთი დაუჯდება. საბჭომ დაადგინა, ტრამვაის გამართვას შეუდგეს გამგეობა მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვიდან. წაიკითხეს მოხსენება გამგეობის მესამე საობლიგაციო სესხის სარგებლიან ქაღალდების განაღდების შესახებ. თავმჯდომარემ ბ-მა ნიკოლაძემ აცნობა საბჭოს: თუმცა ყველა ბანკებში საერთო კრიზისია მაინც რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო ბანკი თითო 100 მან. ობლიგაციაში 92 მან. იძლევა; ამასთან სანამ რამდენსამეს განაღდებდეს, ავანსად 1,000,000 მანეთს მოგვცემსო, რომლის დროზ აღება გაგვიადვილებს და დააჩქარებს ნავთ-სადგური აღორძინებასაო. საბჭომ ერთ-ხმად მიიღო გამგეობის მოხსენება. კრებამ განიხილა სახლვაოსნო და სავაჭრო დაწესებულების წინადადება იმის შესახებ, რომ არსებულ სახლვაოსნო სასწავლებლის გადასაკეთებლად პროგრამის გასაფართოებლად და შენობის ასაგებად სასწავლებელს ქალაქმა 3.500 კვ. საჟენი მიწა დაუთმოს. საბჭომ შეიწყნარა ეს თხოვნა. მომავალი სასწავლებელი სწავლა დამთავრებულთ კაპიტნობის უფლებას მისცემს. განიხილეს სახალხო სკოლების დირექტორის ქაღალდი იმის შესახებ, რომ მანიფესტის 14 მუხლის ძალით ქალაქმა ადგილობრივ სკოლებში ომიანობის გამო დაობლებული ბავშვებ უზრუნველ ჰყოს. საბჭომ დაადგინა აღზარდოს თავის ხარჯით ქალაქის მკვიდრთა დაობლებულ ბავშვებ ერთი მეოთხედი. საბჭომ განიხილა წარსულის წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ სარევიზიო კომისიის მოხსენება. შარშან ქალაქს უნდა შემოსვლოდა 104.701 მ. 92 კ., ნამდვილად კი შემოსულია 80.788 მ. 48 კ. იმავე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში დანიშნული იყო დასახარჯათ 104.701 მ. 92 კ. ნამდვილად კი დაიხარჯა 179.155 მ. 54 კ. გადამეტებული ხარჯი გამოწვეულია იმით, რომ გამგეობას განუხორციელებია საბჭოს ყველა დადგენილება, რომელსაც გამოუწვევია დამ-ტებით ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა და ხარჯი.

ი. იანეთელი.

ფელეტონი

კიდევ ინტელიგენციაზე

ჩემმა წინანდელმა წერილებმა ინტელიგენციის შესახებ რამდენიმე საყვედურის ბარათი მარგუნა სტუდენტებისაგან. ახალგაზდა მოსწავლენი გაჯავრებულან, რომ მე ზოგიერთი მათი ნაკლი აღვნიშნე და საჯაროდ გამოვაცხადე. ჩემი წერილები მათ სტუდენტთა კორპორაციის შეურაცხყოფად მიუღიათ და ამიტომ ბრაზიანი ბარათები მომაყარეს და საყვედურით ამავსეს.. „არ არის საჭირო [illegible]ს ერთი მათგანი,—რომ ერთი[illegible] სიმახინჯე ყველას თავზე [illegible]დ ამგვარად მთელი სტუდენტობა დაცემულად და გათახსირებულად დაგვიხატოთ. ასეთი დაცემულები, საზარმაცოსა და ზნეობრივ სიმხეცის მომხრენი, უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ, ხოლო უმრავლესობა ნივთიერ გაჭირვებასა და დაბრკოლებას მამაცურად ებრძვის და მუყაითად შრომობს და სწავლობსო“. „გარდა ამისა,—იწერება მეორე,—თუნდაც რომ დიდი ზნეობრივი ნაკლი ჰქონდეს ჩვენს ახალგაზდობას, მაინც არ ვარგა მისი გაბიაბრუება და სახელის გატეხა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწავლა-განათლება თავის თავად პროგრესისა და წინმსვლელობის მომასწავებელია და ამიტომ ჩვენ ქართველ ნასწავლ ახალგაზდათა მარტო სიმრავლეც, მიუხედავად მათი მამულიშვილურის ღირსებისა, უნდა მივიჩნიოთ სანუგეშოდ და ჩვენი ხალხის განვითარების მაჩვენებლად. რამდენადაც მრავლდება რიცხვი სასწავლებლებში კურს დასრულებულ ქართველებისა, იმდენადვე, ჩანს, აკლდება გაუნათლებელთა რაოდენობას და ამით მცირდება საზოგადოებაში გონებრივი სიბნელე და უვიცობა. ვინ იცის, რა იქნებოდა ცხოვრებაში ესა თუ ის ექიმი ან ვექილი, რომ სწავლა არ მიეღო და „ინტელიგენტი“ არ გამხდარიყო; სწავლის მიღებით იგი გამოშორდა ბნელეთის სამეფოს და დღეს მახვილ გონების თვალით აღარ უცქერის ცხოვრებას და საზოგადოებრივ ურთიერთობას. და მე მგონია, თუ ასეთ კაცს სწავლის დროს ვინმე შეეწია და დახმარება აღმოუჩინა, ეს შემწეობა ტყვილად დაკარგული არაა, ვინაიდგან, სწავლის წყალობით, საზოგადოებას ერთი შეგნებული კაცი შეემატა, რომელიც უფრო კულტურულად და ადამიანურად ცხოვრობს, ვიდრე წინად, უსწავლელი და გაუნათლებელი, იცხოვრებდა. ცხადია, თქვენ გავიწყდებათ ეს მხარე საგნისა, როცა დასცინით და აბუჩად იგდებთ ინტელიგენციას“...

რასაკვირველია, თავის დაცვისა და გამართლების უფლება ყველას აქვს და ამიტომ აქ გასაკვირი არაფერია, რომ სტუდენტები კერძო ბარათებს იწერებიან და თქვენს „უმორჩილეს მონა-მოსამსახურეს“ ვითომ ამტყუნებენ. მხოლოდ საკითხი ესაა,—სიმართლე ვის მხარეს არის და სტუდენტების თავის გამართლება რამდენად შეიცავს საფუძველს და შეესაბამება სინამდვილეს. მარტო რუსული „სკაზი“-კი არ კმარა ფაქტის უარის საყოფელად და თავის ანგელოზობის დასამტკიცებლად. საჭიროა ამას თვით მოქმედება ლაპარაკობდეს და არა მარტო ცარიელი სიტყვა...

იმ წერილში, რომელსაც ჩვენი მოსწავლენი გაუჯავრებია, ჩვენ ვწერდით, სხვათა შორის: „საზოგადოდ ჩვენ ყველანი ახალგაზდობიდანვე ვეჩვევით მათხოვრობას.. მე დიდი ეჭვი მაქვს, ჩვენ, ახალგაზდობა, თავხბერდ გზაზე ხომ არ ვდგევართ და დაბლობისაკენ ხომ არ მივექანებით მეთქი. ჩვენი ახალგაზდობა უფრო მარდი და ხალისიანია თხოვნაში, ვიდრე მუშაობასა და მოვალეობის შესრულებაზე. იშვიათად შეხვდებით ისეთებს, რომლებიც საზოგადოების ყურადღებასა და დახმარებას შეგნებულად უცქეროდნენ და ზნეობრივ მოვალეობის საქმეში მოსალოდნელ თვით ცნობიერებას იჩენდნენ“.

სამწუხაროდ, ეს სიტყვები სიმართლეს ჰხატავდა მაშინ, და სიმართლეს ჰხატავს, მიუხედავად სტუდენტების პროტესტისა, დღეს, ოქტომბერშიაც. ჩვენ არ ვიცით თითოეულ სტუდენტის curiculum vitae და არ შეგვიძლია მათემატიკურის სისწორით გამოვიკვლიოთ უმრავლეს-უმცირესობის ზნე-ხასიათი და შინაარსიანობა. მაგრამ ცხოვრებაში ყოველ დღე ვხედავთ ისეთ ფაქტებს, რომლებიც შავი ფიქრებისა და უიმედობის აღმძვრელია. რომ საზოგადოდ ჩვენში და კერძოდ ახალგაზდობაში ზნეობრივ მოვალეობის შეგნება სუსტობს, ამას უნდა ვამბობდეთ და ვიმეორებდეთ არა ერთ და ორხელ, არამედ ას და ასიათასჯერ. აი ფაქტებიც და თქვენ თვითონ გასაჯეთ, თუ არ არის ეს სამწუხარო და დასაგმობი.

20 წლის უმაწვილი ასრულებს გიმნაზიის კურსს. უკანასკნელ საგნის ეგზამენის წინ წავა ეტლით ერთ თავის ამხანაგთან ერთად ვერის ბაღში, იქეიფებს, დათვრება, მეეტლეს სცემს, თვითონ ეტლში ჩაჯდება, გააქროლებს, ხევში გადასჩეხს,—ეტლს დალეწს და ცხენს ფეხებს დაამტვრევს. მეორე დღეს მეეტლე მიდის დედმამასთან და ემუქრება: თუ ზარალი არ მიზღეთ, გიმნაზიაში ვჩივლებ და თქვენს შვილს უმოწმობოდ გამოაგდებენო. მშობლებს ფული არა აქვთ და, აი, დედა, მამა და შვილი იწყებენ კარ-და-კარ სიარულს,—დადიან ოჯახებში, უამბობენ ყველას, წარბ-შეუხრელად, თავის „უბედურებას“ და თხოულობენ დახმარებას, რომ ახალგაზრდა მოქეიფე არ მოსცდეს უნივერსიტეტს და უმაღლესს განათლებას.

რას იტყვით ამ ამბავზე, რომელიც ნამდვილი ფაქტია და არა მოგონილ-მოჭორებული? რასაკვირველია, ახალგაზდა კი არა, მოხუცებულიც დალევს ღვინოს და დათვრება, და სიმთვრალეში უწესობის ჩადენა გიმნაზიელისათვის, თუმც მოსაწონი არა, მისატევებელია. მაგრამ როგორ მოგწონთ ეს შემწეობის თხოვნა ბაღში ქეიფის ხარჯების გასასწორებლად? განა შეიძლება ვთქვათ, რომ ან ამ თითქმის დავაჟკაცებულმა უმაწვილმა ან მისმა დედ მამამ იციან, თუ რა არის სიცხვილი და ზნეობრივი მოთხოვნილება?

რომელიღაც დაწესებულებაში ერთ ქართველ ახალგაზდას უფროსმა ნიჭი შეატყო, შეიბრალა და წინადადება მისცა —უმაღლესს სასწავლებელში შესულიყო; დაჰპირდა, აქ სამსახურში იქნები ჩირიცხული და ჯამაგირს აქ გამოგიგზავნიო. ამავე უმაწვილმა მეორე დაწესებულებას მიჰმართა სტიპენდიისათვის, თავისი ადრინდელი ჯამაგირი არ გაამხილა, სტიპენდია მიიღო და ორმაგის სურსათით რუსეთს გაემგზავრა. დიდი ანგარიში არაა საჭირო იმის გასაგებად, რომ მისგან წაღებული სტიპენდია სხვა მოთხოვნილებას დააკლდა და ამგვარად ერთი რომელიმე ღარიბი უსახსროდ და უპატრონოდ დარჩა.

ქართველი სტიპენდიატი, ნებით თუ უნებურად, თავს ანებებს უნივერსიტეტს, ჩამოდის ჩვენში და სტკეპნის ბულვარს. მაგრამ არ ამხელს უნივერსიტეტიდან გამოსვლას და რამდენიმე თვის განმავლობაში გემრიელად სჭამს სტიპენდიას. იმ დროს, როცა მისი არა ერთი და ორი ამხანაგი შიმშილს ებრძვის საუნივერსიტეტო ქალაქში, იგი უზრუნველად ჰხარჯავს საზოგადო ფულს „პერ-დგინო“-ში და ერთხელაც აზრად არ გაუვლის, რომ ამ ფულით შეიძლებოდა დახმარება მისცემოდა მის ამხანაგს რუსეთში.

ტფილისში არსებობს „კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადება“. ეს არის საქველმოქმედო დაწესებულება, რომელიც თითო გროშობით აგროვებს ფულს და აძლევს უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დახმარებას. ქართველი სტუდენტი, რომელიც სხვა დაწესებულებებიდან 400 მანეთს იღებს წელიწადში სტიპენდიად, მიდის თხოვნით და ხუთ-ხუთ მანეთობით სცინცლავს ფულს ამ ხელ-მოკლე „საზოგადოებას“ და ამგვარად პირიდან ლუკმას აცლის სხვა ღარიბ და უსახსრო სტუდენტობას.

ვიკმაროთ ეს მაგალითებიც. თქვენც დამეთანხმებით, რომ იმ წრეში, რომელიც ზნეობრივ შემეცნების ამგვარ მაგალითებს იძლევა, ვერ უნდა იყოს ყველაფერი წესსა და რიგზე. და პრესსა, რომელიც ასეთ სიდუხჭირეს აღნიშნავს, სრულიადაც არ შეურაცხყოფს ამა თუ იმ ნათელ პიროვნებას. ნაკლის ცნობა პირველი ნაბიჯია მის გასასწორებლად. ხოლო ცარიელი სიტყვით თავის სიძაბუნის უარის-ყოფა და გულის დამშვიდება —თუ ეს გულწრფელი არის—მომასწავებელია იმისი, რომ ჩვენს ახალგაზდობას აკლია მხედველობა და გონებრივი გამჭრიახობა. დრო არის შევიგნოთ, რომ საზოგადოებას, რომელიც შრომას ეწევა და მსხვერპლს არ იშურებს ჩვენი ახალთაობის გამოსაზრდელად, უფლება აქვს მოსთხოვოს მათ სამაგიერო საზოგადო შრომა და მოღვაწეობა. მამა ზრდის თავის შვილს და ელის, რომ სიბერეში შვილი ნუგეშს სცემს და ეპატრონება; საზოგადოება ზრუნავს მოსწავლე ახალგაზდობაზე და იმედი აქვს, რომ ეს ახალთაობა მას ემსახურება და ამა თუ იმ სახით გამოადგება.

ეს აზრი ძვალსა და რბილში უნდა ჰქონდეს გამჯდარი ჩვენს ახალგაზდობას. სტუდენტობის დრო ის ხანაა კაცის ცხოვრებაში, როცა ყოველი მაღალი და კეთილშობილი აზრი ადვილად ჰხიბლავს და იტაცებს ადამიანს.

სამწუხაროდ, არ ეტყობა, რომ ქართველ ახალგაზდობას ასეთი აზრ-იდეალი იზიდავდეს და აღაფრთოვანებდეს... დააკვირდით ჩემი კორესპონდენტის სიტყვებს: განათლებული კაცი,—სწერს იგი,—„უფრო კულტურულად და ადამიანურად ცხოვრობს, ვიდრე უსწავლელი და გაუნათლებელი იცხოვრებდა“ და ამიტომ ამაგის გამწევ საზოგადოებისათვის ასეთ „კულტურულ“ ხალხის გამრავლება თავის თავად მოგება და შემატებააო. ჩვენ შეჩვეულნი ვართ, რომ ახალგაზდა ბევრ რამეებს გვპირდებოდეს, როცა იგი არის სასწავლებელში, და ამ დანაპირებს ნაკლებ ასრულებდეს, როცა გამოვა ცხოვრებაში. თუმცა ვიცით, რომ ხშირად დანაპირები რეალურ ცხოვრებაში დავიწყებას მიეცემა და არ შესრულდება, მოსწავლე ახალგაზდისაგან მომავალ მოღვაწეობის „პლანების“ გაგონება მსმენელს მაინც ახარებს და სიამოვნებას აგრძნობინებს. ჩემი კორესპონდენტი კი დაპირებასაც არ არის ხელ გაშლილი. ჩვენ, სწავლის დასრულების შემდეგ, „კულტურულად“ ვიცხოვრებთ და თქვენც ამას დაკმაყოფილდითო, გვეუბნება იგი.

„კულტურულად ცხოვრება“, რასაკვირველია, თავისთავად ცუდი არ არის. კარგი სახლი, სუფთა და ლამაზი ტანისამოსი, გემრიელი საჭმელ-სასმელი, სურნელოვანი სიგარა, წიგნები და გაზეთები, ოპერა და კონცერტები,—ყველა ეს „კულტურულ ცხოვრებას“ ნიშნავს და არც არავინ დაიწუნებს. მაგრამ ეს არის მოწყობა თავის კერძო ცხოვრებისა, რომელსაც საზოგადოების ინტერესსა და სარგებლობასთან ძალიან სუსტი კავშირი და დამოკიდებულება აქვს. ჩვენს ხალხს არც გონებრივად და არც ნივთიერად არა ემატება-რა იმით, რომ ასეთი „კულტუროსანი“ ეტლით დაბრძანდება და მო

თეატრი

ქუთაისი. 17 ოქტომბერს ქუთათურმა რამატიულმა დასმა წარმოადგინა თ. ხუს ვაძის ახალი ოთხ-მოქმედებიანი ისტო ული პიესა „მეფის მოღალატე“, ანუ დიდი როსტომ ერისთავი“. პიესა სასცე ად გადმოკეთებულია ისტორიულ მოთხრობი ნ „მეფე სოლომონ დიდი“, რომელიც, რო რც მახსოვს, ჯერ „კვალში“ იბეჭდებოდა და შემდეგ ცალკე წიგნაკადაც გამოიცა. ამიტომ მე აქ ვეცდები მხოლოდ მოკლედ გადმოგცეთ პიე ს შინაარსი.

სოლომონ დიდის მეფობის დროს იმერეთს ესია ოსმალოს ჯარი. ქუთაისის ციხეში ინავდა მაჭმედ ფაშა კეკიანი (ზარდალიშვილი); ღათში—ჭუსეინ ფაშა (მურუსიძე); შორაპანში— მედ ფაშა (ნანაძე) და ხრესილში—ალიბეგ ფაშა (ფრანგულიანი). ამავე დროს სოლომონს ალაუდგნენ რაჭის თავადი დიდი როსტომ ერის ვი და მეფის ბიძა ლევან აბაშიძე, თავადი იმე თი . ეს უკანასკნელნი მიუდგნენ ოსმალოებს, მელთაგან მოელიან უთვალავ წყალობას. მაჭ დ ფაშა მოიწვევს თათბირზე სხვა ფაშებს, ტომ ერისთავსა და ლევან აბაშიძეს; თათ ი გადასწყვეტენ, გასრისონ, მოსპონ ბაგრა თა სახსენებელი და თვითონ გაიყონ იმე სამეფო. ოსმალოები იმდენად თავ-აშვე ა არიან, რომ თვით აღდგომას დღეს შე არდებიან მეფის სამზარეულოში და მოიტაცებენ ცხლზედ აფიცხებულ ცხვარს. გაბრაზებული ფე მაშინვე შეჰკრებს მახლობელ თავადებს და ან ერთად გადასწყვეტს ოსმალებთან შებრ ბას. თავის განზრახვას, სხვათა შორის, ბს როსტომ ერისთავს, რომლისაგანაც დახმარებას. მოხდება ბრძოლა ქართ ა და ოსმალოთა შორის. ქართველები არჯვებენ. სოლომონ მეფე თავის ხელით ავს მოჰკვეთს კეკიან ფაშას. ლევან აბაში ს თოფით ჰკლავს გლეხი გელა თედორაძე— მდეგში თედორე გეგელაშვილი (ბოჭორიშვილი). ლომონ მეფე ამით არ კმაყოფილდება. გა ს როსტომ ერისთავის ღალატს და სურს ს დასჯა. მეფის დიდებულნიც იმ აზრისანი რიან, რომ ერისთავი სამაგალითოდ დაისაჯოს შვილებითურთ. როდესაც მეფე დიდებულებთან თათბირშია, ამ დროს მეფეს ატყობინებენ, როსტომი მოვიდა შვილებითო. მეფე მაშინვე უბრძანებს ბერი წულუკიძეს (ამაშუკელი), როსტომის შემოსვლისთანავე სახლს ჯარი შემოარტყას და შეჰპყრონ როსტომიცა და მისი შვილებიც. როსტომი შემოდის ორის თავის შვილით. მეფე ჯერ ალერსით მიეგებება, შემდეგ ჰკითხავს როსტომს, რატომ ჯარი არ მომაშველე ბრძოლის დროსაო, როსტომი თავს ართლულობს, გავიგე, ოსმალები ნაქერალას ადგნენო და ჯარი ამიტომ ვეღარ მოგაშველეო.

ამ დროს მეფის ბრძანებით შემოსცვივიან დარაჯები, შეჰკოჭავენ როსტომსა და მის შვილებს და თვალებს დასთხრიან. ამით თავდება დრამა.

როგორც მკითხველი ჰხედავს, პიესაში სულ უბრალო ისტორიული ამბავია გადმოცემული. არც ახალი, ცოცხალი დედა-აზრი და არც სხვა რამე. ბ-ნ ხუსკივაძის პიესას ეფექტებიც კი აკლია. თუ ასეთ პიესას ძლიერ კარგი მოთამაშენი არ ეყოლა, მთლად განიარწყლდება, და სწორედ ასე მოუვიდა ბ-ნ ხუსკივაძის პიესასაც. მსახიობთაგან კარგად თამაშობდა ბ-ნი გამყრელიძე (სოლომონ მეფე); ბ-ნი აწყურელი თუმცა კარგად თამაშობდა, მაგრამ მისი სიჩქარე და თვალ-ტანადობა არ შეეფერებოდა დინჯს, დარბაისელ რაჭველ თავადს! ძლიერ უმაწვილი ლევან აბაშიძე იყო ბ-ნი ბაქრაძეც. ქ-ნმა მდივანმა გიტარა დაუკრა და დამღერა; ეტყობა, დაავიწყდათ, რომ სოლომონის დროს ჩვენში მეგიტარეები არა ყოფილან. ავტორს, როგორც მახსოვს, ჩონგური აქვს ნახმარი. არც ისაა ავტორის ბრალი, რომ გელა თედორაძე მეფეს ზურგს შეაქცევს და „პადრუჩკით“ გაიყვანს სცენიდან თავის ცოლს ფატის; არც ის, რომ პაპუნა წერეთელს „ეკალზე ვარდი“ ამოჭყავს და ვარდზე ეკალი; არც იმაშია ავტორი დამნაშავე, რომ როსტომის შვილები ქანდაკებივით დგანან სცენაზე და სოლომონის კაცებს წინააღმდეგობას არ უწევენ, ისე ნებდებიან შესაკრავად და მრავალი სხვა.

წარმოდგენის გათავების შემდეგ სცენაზე გამოიწვიეს ავტორი და ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

დონ-ვალიანი.

ოს სალონებში მასავით განათლებულებს ადალ მატერიებზე“ ეკამათება. ვოქვაი, ასეთი კულტუროსანი“ ხელობით ექიმია. იგი დადის -ვიზიტებზე“ და შესაფერ გასამრჯელოს იღებს; სთან მიდიან ავადმყოფები და შესაფერ გა ჯელოს უტოვებენ; მსახურობს სადმე სამ ანალოში და—შესაფერ ჯამაგირს აძლევენ. „შესაფერ გასამრჯელოსა და ჯამაგირის“ ით მას თავისი ცხოვრება „კულტურუ აქვს მოწყობილი, მაგრამ საინტერესოა ვი დეთ, ქართველ ხალხისთვის ეს „ქართველი“ მი რითაა უფრო სასარგებლო და უკეთესი, ვიდრე რუსი, სომეხი, თათარი ან სხვა ვინმე უცხო ესკულაპი. ფულით თათარიც გვიწამლებს და ის „ჩვენი“ ექიმიც; თუ სახსარი ექნება, „კულტურულად“ ერთიც იცხოვრებს და მეორეც; იმერელ გლეხის შვილს მზარეულად სომეხიც დაიყენებს და ქართველიც. ამ მხრით ბევრი არაფერი განსხვავებაა ქართველსა და უცხოს შორის.

მარტო ქართულ გვარის ტარება და უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დასრულება საკმარისი რაა, რომ ვინმე მართლა ქართველად და ქართ ლ ხალხის სასარგებლო პირად იქმნეს მი აჩნევი. მამულიშვილობა „ძე“-ობით და „შვილ“-ობით არ განისაზღვრება. ამისთვის საჭიროა, ცოდნასთან ერთად, გული, გრძნობა და მართლა მამულიშვილური შრომა-მოქმედება. და ეს კი ნიშნავს ვიწრო პირად „კულტურულ ცხოვრების“ რკალიდან გამოსვლას და უფრო ფართო სა ვალდო ასპარეზზე დადგომას. ეს ასპარეზია რეზი ქართველ ხალხის საერთო საჭიროების ტერესებისა, მისი განვითარების და წარ ას, ამ ასპარეზზე დგას, ვინც ჩვენი ნივთიერ და სულიერ ძალ-ღონისა და -დიდების გაზრდა-განვითარებას ხელს წყობს და თავისი შრომითა და გარჯით სახალხო ინტერესებს ემსახურება. თავის ცხოვრების „კულტურულად“ მოწყობა თითოეულის კერძო საქმეა და ამაში ვერ გავუცვლით და ვერ გავუბარებთ ქართველ ინტელიგენტს იმ ზრუნვასა და ჯავს, რომელსაც ეწევა მისთვის ქართველი საზოგადოება...

ფ. გოგიჩაიშვილი

(დასასრული იქნება)

სასამართლო

I

თავდასხმა აღდგომა ღამეს

კახეთში და კერძოდ თელავის მაზრაში მეტად გახშირებულია ქურდობა, ავაზაკობა და სხვა ავკაცობა. ეს ორი კვირა ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია თელავში იმყოფებოდა და თითქმის ყველა საქმე, იმის მიერ განხილული, ყაჩაღობასა და ძარცვა-რბევას შეეხებოდა. მდგომარე წლის აღდგომა ღამეს სოფელ კურდღელაურის მცხოვრებს გლეხს ჩუვაძეს გათენებისას ბავშვები წირვაზე წაუყვანია. რადგან ლიტანიისათვის უნდა მიესწროთ, ცოტა ადრე გასულან სახლიდან. შინ დარჩენილა ჩუვაძის ცოლი მართა. ბოროტმოქმედებს ჩაუმტვრევიათ კარები და შეცვივნულან სახლში. რადგან ქალს თავისათ არა მიუცია რა, ერთს მათგანს უძვრია ხანჯალი, დაუჭრია ქალი ბეჭში, შემდეგ წაუქცევია, გაუჭვევია საბანში და დასწოლია ზევიდან. ქალს სხვა რომ ვერა გაუწყვიარა, ავაზაკისათვის თითზე უკბენია, ღონივრად წამოუწევია და კაცი ლოგინიდან გადმოუგდია. კაცს მიშველებია ამხანაგი, რომელსაც ხანჯლით შეუტევია ქალისათვის, ქალს ხანჯალზე ხელი უტაცნია და შეუჭრია ზედ ორივე ხელი. ასეთ ბრძოლის შემდეგ უცნობნი გაქცეულან. მეორე დღეს პოლიცია მისულა საქმის გამოსაძიებლად. მართა ჩუვაძეს უთქვამს, ავაზაკები ისე შეხვეულნი იყვნენ, რომ თვალები-ღა უჩანდათ, ამიტომ სახე ვერ გავარჩიე, მხოლოდ ერთს გამწარებულმა სახე ჩამოვაკაწრე ფრჩხილებით, ხოლო მეორეს თითზე ვუკბინეო. ამ ნიშნების წყალობით პოლიციას დაუპატიმრებია თელავის მოქალაქე იოსებ ზურაბიანცი და სოფელ კურდღელაურის მცხოვრები ზაქარია ფოთოლაშვილი, რომელთაგან ერთს სახე ჰქონია ჩამოკაწრული, ხოლო მეორეს თითი მოკვნეტილი. ორივე პასუხის გებაში მიუციათ ავაზაკობისთვის. ოლქის სასამართლოს სესიამ ეს საქმე გაარჩია 15 ოქტომბერს თელავში. ბრალდებულებმა თავი დამნაშავედ არ იცნეს. სასამართლომ გადაუწყვიტა მათ ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა თითოს რვა-რვა წლით.

II

კაცის მოკვლა

15 ოქტომბერსავე ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ განიხილა საქმე თელავის მაზრის სოფელ იყალთოს მცხოვრების გლეხის ილია ბაზიერაშვილისა, ივანე ვარდიაშვილის და რაჭის მაზრის მცხოვრების დიანოზ მხეცურიანისა, რომელთაც ყაჩაღობა ჰბრალდებოდათ. ბაზიერაშვილი და ვარდიაშვილი შარშან თავ. ზაქარია მაყაშვილის მარანში მუშაობდნენ თურმე. მათთან გაუვლია მარანში თელავისავე მაზრის მცხოვრებს გლეხს ბურკაძეს, რომელსაც ღვინო დაულევია და შემდეგ წასულა თავის საქმეზე. საღამოთი იმავე დღეს ბურკაძე კიდევ მისულა, ერთად დაუწყიათ მაჭრის სმა თავ. მაყაშვილის მარანში და კარგადაც შეზარხოშებულან. სმის დროს ბაზიერაშვილს ბურკაძისათვის უთქვამს, ყალიონისათვის ცეცხლი მომაწოდეო. ბურკაძეს აუღია მუგუზალი და ხუმრობით სახეში უტაკებია. ბაზიერაშვილს აუღია კეტი და ისე ძლიერად დაუკრავს, რომ იგი გულშემოყრილი იქვე დაცემულა. როგორც გამოძიებით გამორკვეულა და ექიმებსაც შეუმოწმებიათ, ბაზიერაშვილსა და იმის ამხანაგებს გულშემოყრილი ბურკაძე მკვდარი ჰგონებიათ, ყელზე წნელი შემოუჭერიათ, ფეხებზე თოკი, იქითა და აქეთ კეტი გაუყრიათ და გადაუტანიათ მოშორებით. ბურკაძე ცოცხალი ყოფილა, მაგრამ რაკი ყელში წნელი ჰქონებია მოჭერილი და მშველელი არ აღმოსჩენია, დამხრჩვალა. თუ რამე ძვირფასი ჰქონია, გაუხდიათ, ცალკე გაუხვევიათ და გადაუმალავთ. როგორც გამოძიებასა, ისე სასამართლოში ბაზიერაშვილი გამოტყდა და ყველაფერი დაწვრილებით უამბნია. ბრალდებულთ იცავდა ნაფიც ვექილის თანაშემწე თავ. ბარათაშვილი, რომელიც უმტკიცებდა სასამართლოს, რომ ეს ყაჩაღობა არ არის, ეს გაბრაზების დროს უცაბედად კაცის მოკვლააო. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი და გადაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა: ბაზიერაშვილს—2 წლით და მხეცურიანს—1 წლითა და 8 თვით. ხოლო ვარდიაშვილს გადაუწყვიტა 2 თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

რუსეთის ქრონიკა

◆ „ნოვ. ვრ.“-სა, „ს.-პეტ. ვედ.“-სა და სატახტო ქალაქის სხვა გაზეთებში შემდეგი ამბავია მოთხრობილი: „9 ოქტომბერს პეტერბურგის საპატიმროში თავი მოიკლა ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის სტუდენტმა მალიშევმა, რომელსაც პოლიტიკური დანაშაულობა ჰბრალდებოდა. მალიშევის სიკვდილმა მღელვარება გამოიწვია მოსწავლეთა შორის. ხმა გავრცელდა, მალიშევმა იმიტომ მოიკლა თავი, რომ საპატიმროში მეტად სასტიკად ეპყრობოდნენო. ქალაქში გავრცელდა პროკლამაციები, რომლებითაც იწვევდნენ სტუდენტობას, 17 ოქტომბერს ყაზანის სობოროს მოედანზე მოიყარეთ თავი პროტესტის გამოსაცხადებლადო. მალიშევი მიმდინარე წლის 18 ივლისს დაპატიმრეს: მუშათა შორის პროპაგანდის გამართვას სწამებდნენ, რათა განსვენებულ მინისტრის პლევეს დასაფლავების დღეს ხალხში არეულობა გამოეწვია.

14 ოქტომბერს იმ საპატიმროს წინ, სადაც მალიშევმა თავი მოიკლა, სტუდენტებმა მოიყარეს თავი დემონსტრაციის გასამართავად. გამოწვეული იყო პოლიციელთა დიდი რაზმი და თვითონ გრადონაჩალნიკიც მივიდა. გრადონაჩალნიკმა პოლიციელთა რაზმს უბრძანა დაშლილიყვნენ, მარტო დარჩა სტუდენტებთან და შემდეგის სიტყვებით მიმართა: „ხომ ხედავთ, რომ მარტო ვარ თქვენთან. დარწმუნებული ვარ, რომ გონივრად მოიქცევით და დაიშლებითო“. სტუდენტები დაიშალნენ.

◆ ერთი ებრაელი სტუდენტი შემდეგ სამწუხარო ამბავს სწერს გაზ. „ნოვოსტი“-ს: „10 ოქტომბერს დილით მატარებლით მივედი ქ. მოგილევს ერთის ჩემის ამხანაგით და მეტად გაოცებული დავრჩით, როცა დავინახეთ, რომ რკინის გზის სადგურთან არც ერთი ეტლი არ სჩანდა. ვიღაც უცნობი კაცის ლაპარაკს მოვკარი ყური, რომელიც ამბობდა, ქალაქში ებრაელებს თავს დაესხნენო. მივმართე სადგურის ჟანდარმს და იმან მითხრა, ქალაქში სიწყნარეა, მიბრძანდით, არაფერი გიჭირთო. ჟანდარმის სიტყვებით დამშვიდებულნი, ჩვენ ფეხით გავუდექით ბინისაკენ. უეცრად გზაში საზარელის ყვირილით თავს დაგვესხა ქრისტიანთა ბრბო. „სცემეთ ურიებს, მოჰკალით ეს ურია-სტუდენტიო“. ჩვენ ძლივს დავიხწიეთ თავი და რკინის გზის სადგურისაკენ გავიქეცით. ჩვენ ყვირილზე არავინ არ მოვიდა საშველად, პოლიცია არსადა სჩანდა. ძლივს მივაღწიეთ სადგურს და სადგურის უფროსს ვთხოვეთ, ნება მოეცა ჩვენთვის საქონლის მატარებლით წავსულიყავით სადგურიდან ან ღამე სადგურზე დავრჩენილიყავით. სადგურის უფროსმა ორივე თხოვნაზე გადაჭრით უარი გვითხრა. ბოლოს ერთმა ჟანდარმმა შეგვიბრალა, მეეტლე გამოიწვია და სახლამდის გაგვაცილა. ქუჩებში ბევრ სახლს ეტყობოდა დარბევის ნიშნები: ჩამტვრეული ფანჯრები და კარები, დამსხვრეული შუშები და სხვ. ჩემი მშობლების სახლს რომ მივაღწიე, კარები მაგრა ჩაკეტილი დამხვდა. ჩემმა დაშფოთებულმა დედ-მამამ ძლივს იცნეს ჩემი ხმა და ძლივს გამიღეს კარები. როცა შევედი, დავინახე, რომ ფანჯრებზე შიგნიდან სქელი ფიცრები იყო მოჭედილი. უბედური ჩემი მშობლები ყოველ წამს ელოდნენ თურმე გაშმაგებულ ბრბოს თავ-დასხმას“.

◆ ამ მოკლე ხანში სახელმწიფო საბჭო განიხილავს საკითხს მართლმადიდებელთა დღესასწაულების რიცხვის შემცირების შესახებ.

◆ გაზ. „რუს“-ს სწერენ ქ. იაროსლავიდან, ადგილობრივი პოლიცია მეტად სასტიკად ექცევა საპოლიციოებში დაპატიმრებულთ, სცდილობს, ძალად გამოტეხოსო. ამას წინად ადგილობრივ სასამართლოში ვიღაც იაკოვლევის საქმე ირჩეოდა. იაკოვლევს ქურდობას სწამებდნენ. ბრალდებულმა სასამართლოში განაცხადა, საპოლიციოში რომ ვიყავი დაპატიმრებული, ოთხ დღეს საჭმელს არ მაძლევდნენ და სულ იმას მეუბნებოდნენ: გამოტყდი, თორემ შიმშილით მოგკლავთო.

სასამართლომ გაამართლა ბრალდებული.

იმავე სასამართლოში ირჩეოდა საქმე პოლიციელთა მიერ დაპატიმრებულ ორი კაცის შესახებ. საქმის განხილვის დროს გამოირკვა, რომ პოლიციელთ ძლიერ ეცემათ ამ ორ ბრალდებულთათვის. ერთმა მოწმე ქალმა აჩვენა, ისე სცემდნენ, რომ არ მეგონა, თუ ცოცხალნი გადარჩებოდნენო.

◆ ქ. მოგილევში, ადგილობრივ „გუბ. ვედ.“-ის სიტყვით, 9 ოქტომბერს ქუჩებში გაკრული იყო განცხადება ჯარის მობილიზაციის შესახებ. გაწვეულმა სათადარიგო ჯარის კაცებმა საპოლიციო გამგეობასთან მოიყარეს თავი, შემდეგ ქალაქის ქუჩებს მოედვნენ და რამდენსამე ალაგას უწესოება მოახდინეს: სახლებში ფანჯრები შეამტვრიეს და ბაზარში ერთი დუქანა დაარბიეს.

◆ მდიდარ ებრაელ მექარხნის, ლაზარე ბროდსკის მემკვიდრეები სამართალში იწვევენ „ნოვ. ვრ.“-ს რედაქტორს სუვორინს ცილის წამებისათვის.

◆ სახელ-განთქმულ მწერალს ლ. ნ. ტოლსტოის დაუსრულებია წერილი ვ. შექსპირის შესახებ. ეს წერილი, ავტორის სურვილისამებრ, მხოლოდ იმის სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდება.

◆ ვარშავიდან დეპეშით აუწყებენ „რუსკ. სლ.“-ს, რომ საერო განათლების მინისტრს წარუდგა, სახელ განთქმულ ვექილის სპასოვიჩის მეთაურობით, პოლონეთის არისტოკრატიის დეპუტაცია და მოხსენება გადასცა პოლონეთის კერძო სკოლების საჭიროებათა შესახებ.

პოლონეთში სამრეწველო კრიზისის გამო მრავალი გერმანელი მუშა ბრუნდება სამშობლოში.

◆ ფინანსთა სამინისტროს განსაკუთრებული კომისია შეუდგა სახელმწიფო სამრეწველო გადასახადის დებულების განხილვას. რუსეთის გაზეთების სიტყვით, დებულების ძირითადი საფუძველი და გადასახადის სისტემა უცვლელად დარჩება, რეფორმა ამ დებულების არსებით მხარეს არ შეეხებაო.

წერილები

ოზურგეთი. ოზურგეთში არსდება, როგორც გაზეთებშიაც იყო გამოცხადებული, საურთიერთო ნდობის საზოგადოება. წესდება ამ საზოგადოებისა დამტკიცებულია ამა წლის თებერვალში და, წესდების ძალით, საზოგადოებამ მოქმედება უნდა დაიწყოს წესდების გამოქვეყნების შემდეგ ექვსი თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებას ხელ-ახლად დასჭირდება ნება-რთვის აღება მთავრობისაგან. ხუთი თვე გავიდა ისე, რომ არავითარი საქმე არ დაწყებულა, ეხლა კი, როცა მხოლოდ ერთი თვე დარჩა დანიშნულ ვადის გასვლამდის, ოზურგეთლები გამოფხიზლდნენ და დაჩქარებით შეუდგნენ საწევრო ფულის შეგროვებას. არჩეულ იქმნა საზოგადოების დამაარსებელი კომიტეტი, რომელსაც დაევალა ყოველნაირად მეცადინეობა დანიშნულ ვადის გასვლამდის საზოგადოების დასაარსებლად. კომიტეტის წევრებად არჩეულნი არიან: ნიკოლოოზ თავდგირიძე, ვასილ ხუნდაძე, დავით დუმბაძე, დომენტი შავიშვილი, კონსტანტინე კვაშალი, დიმიტრი ცეცხლაძე, ექვთიმე ვასაძე, ისიხი ნაკაშიძე და მონასე თოთიბაძე. ამათ დაევალათ შეკრიბონ საკმაო საწევრო ფული (არა ნაკლები ათი ათას მანეთისა), პირველად საქმის დაწყებისათვის საჭიროა, მოამზადონ ყოველნაირი საშუალება-პირობანი ამ საქმის დასაფუძნებლად და 20 ნოემბრისათვის მოიწვიონ ყველა წევრები გამგეობის ასარჩევად და მოქმედების დასაწყებად. პირველსავე დღეს 12 ოქტომბერს შეიკრიბა ოზურგეთის ვაჭრებისაგან ათასი მანეთი ფულად და ხუთი ათასი მანეთის საწევრო თანხაზე ხელი მოაწერეს. დიდი იმედი აქვთ ოზურგეთლებს გურიის გარეშე მცხოვრებ თანამოძმეებზე, რომელნიც ყოველსავე საერთო-სასარგებლო საქმეს დიდის სიყვარულით ეგებებიან. მართალია, ამ საერთო კრიზისის დროს ძნელია ისეთის საქმის დაწყება, რასაც საგრძნობელი თანხა სჭირიან, მაგრამ, რუსული ანდაზის არ იყოს: თითო ძაფი რო გამოიღოს ყველა გულმტკივნეულმა ადამიანმა, ღარიბის ჩასაცმელი-გასათბობი პერანგი ადვილად შეიკრებაო. სწორედ ასეთი თანაგრძნობაა საჭირო: გურულნი ვაჭრობა-მრეწველობის მიმდევარნი იმდენი არიან ამ ჟამად სხვა-და-სხვა კუთხეში დაფანტული, რომ თვითეულის მცირედი წვლილიც საგრძნობელ თანხას შეადგენს. ოზურგეთში ერთი საფუძვლიანი, საიმედო საკრედიტო დაწესებულების დაარსება ამ ყოველნაირად გაჭირვებულ დროს დიდ სამსახურს და სარგებლობას გაუწევს მთელს გურიაში ვაჭრობა-მრეწველობის, სასოფლო-მეურნეობის და საზოგადოდ ყოველივე კეთილ-დაწყებულობის საქმეს. თუ ამ ჟამად სამდურავი ისმის გურიაში ამ ბოლო დროს დამყარებულ წესის წინააღმდეგ, ამისი ბრალი ხელ-მოკლეობაა უწინარეს ყოვლისა. ოზურგეთის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში წევრად ჩაწერის მსურველთ შეუძლიანთ საწევრო ფული გამოგზავნონ ოზურგეთში ვასილ სოფრომის ძის ხუნდაძის სახელზე, რომელიც დამაარსებელ კომიტეტის ხაზინადარია. წევრთ დაუყონებლივ გაეგზავნებათ საწევრო ფულის მიღების კვიტანცია. 20 ნოემბრისათვის ყველას, ვისაც ას მანეთი საწევრო ფული ექნება შემოტანილი, ნება ექნება გამგეობის არჩევანში მონაწილეობა მიიღოს. იმედია, ამ ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმეს გურულები გულგრილად არ მოეპყრობიან.

თანამგრძნობი

სვანეთი

არ ვიცნობთ სვანეთს.—სოფლები და შენობები.— ცოტა რამ წარსულიდან. —სხვა-და-სხვა ტიპი —სწავლის წყურვილი.—უგზობა.

სვანეთის შესახებ მხოლოდ შემთხვევით თუ დაიბეჭდება რამე, ისიც მოკლედ, თორემ არც სვანეთზე და საქართველოს არც სხვა რომელსამე შორეულ კუთხეზე სასურველი [illegible], არა თუ გამოკვლევა არ დაბეჭდილა. ჯერ არ დამდგარა ის სასურველი ხანა, როცა ქართველთა ყოფა-ცხოვრება ყოველ მხრივ იქნება გამორკვეული. როგორც დ. ბაქრაძე ამბობს, რაც გინდა ბევრი ეძიოთ საბუთებში, ვერ ნახავთ სვანეთისა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ და კერძოდ სვანეთის შესახებ საბუთებს. შეიძლება კიდეც იყოს, მაგრამ სვანეთის არქეოლოგიურ ისტორიული ავლა-დიდება ჯერ ჯერობით გამოურკვეველია.

როგორც-კი გადახვალთ მშვენივრად გაკეთებულ დატვირის უღელტეხილს, წარმოდგება [illegible] და სურნელოვან ყვავილებით შემკული, [illegible] გადაიშლება მოკაშკაშე კავკასიონის ქედი, [illegible] თოვლით მოსილი. მას მხარს უმშვენებს იმის პირდაპირ აღმართული თოვლიანი სვანეთის ქედი, მათ შუა უფრო დაბალი მთები ფარასავით გაფენტულან და ამშვენებენ არე-მარეს, აქვე თეთრის ზოლივით მიიკლაკნება აქაფებული ენგური თავის მრავალ ტოტებით და ხან აქ შეეტაკება კლდეს, ხან იქ. მთა ჰკვირობს: „ნუ თუ ენგურს შეუძლიან მოსციდეს ასეთ ბუნებას, ნექტარის სიტკბოებით აღსავსე ჰაერს და მუდამ სპეტაკ ლაჟვარდოვან ცას. ამ ენგურიდან კოდორამდე, რომელსაც აქვს მხოლოდ ორი გასავალი კარი—„ტვიბერი“ და „ლატფარი“ იმერეთისაკენ და ერთი ვიწრო ბილიკი სამეგრელოსაკენ ძველიდან ძველად სცხოვრობენ სვანები, ანუ „შვანარ“, „შანები“, როგორც თავის თავს ეძახიან სვანები. სცხოვრობენ პატარ-პატარა სოფლებში, თვითო სოფელი შესდგება 4—9 პატარა სოფლისაგან! თვით ეს პატარა სოფელი ზოგჯერ შესდგება მხოლოდ ერთ გვარეულობისაგან, რასაც სვანები „თემს“ ეძახიან. შორიდან რო გადაჰხედავთ სვანურ სოფლებს, დიდხანს თვალს ვერ მოაშორებთ და სულ შესცქერით იმ თავისებურ შენობებს, რომლებსაც ასე ბლომად კაცი ნახავს მხოლოდ სვანეთში,—ეს არის მშვენიერი, მაღალი ოთხ კუთხიანი ციხე: ციხის სიმაღლე ზოგჯერ 10 საჟენს აღემატება. ციხე ისეთ ნაირად არის აგებული, რომ სამღრთოთ არქიტექტორის თვალსაც-კი ასიამოვნებს.

როგორც-კი შეხვალთ სოფლებში, დაათვალიერებთ სახლებს, გზებს, იტყვით, ეს ხალხი საომრად ყოფილა მომზადებული და მუდამ მტერს ელისო. დიახ, როგორც ხალხური თქმულება ამბობს, დიდებულმა თამარ მეფემ, რომელიც მობრძანდებოდა სვანეთში, სოფ. უშკულში, დღემდის დარჩენილ თავის ოთხ კოშკიან სასახლეში დაგვივიწყა და ჩვენში ცხოვრება აირია: გაჰქრა ერთობა, თავადებმა იწყეს ჩხუბი ურთიერთ შორის და აგრეთვე იმერეთის მეფის წინააღმდეგ; სვანეთში შემოვიდნენ სხვა და სხვა პირნი და მოინდომეს მფლობელობა. მაშასადამე ერთობის მაგიერ ერი და მხარე მრავალ ნაწილად გაიყო: იმერეთის მეფე ცალკე, დადიანი ცალკე, გელოვანები თავისკენ იწევდნენ, დადეშქელიანები სვანეთს ითვისებდნენ და თავისუფალი სვანები წინანდელ წეს წყობილებს იცავდნენ. რაკი დაირღვა ერთობის პრინციპი და ფეოდალთა მეოხებით ერთი სოფელი წინ აღუდგა მეორეს, სვანები იძულებულნი შეიქმნენ დაეცვათ თავიანთი თავი და ძველ სიმაგრეებისათვის მიემატებინათ ახალი. დღემდის ფეოდალთა და სვანთა შორის დავა არ შეწყვეტილა: გელოვანები ებრძვიან უშკულელებს, დადეშქელიანები ლატალელებს. ამ დავის დროს უშკულელების და გელოვანების შორის [illegible] შესახებ მოხდა შეტაკება ქვემო და ზემო სვანების შორის. ერთი გელოვანთაგანი კიდეც მოჰკლეს. მე-XII საუკუნიდან ვერ შევჰხვდებით ვერა თუ საბუთს, თქმულებასაც-კი, სადაც მთელ სვანეთის ერთობაზედ იყოს ლაპარაკი, ეს ერთობა გაჰქრა.

შენობების შემდეგ თქვენ ყურადღებას იქცევს ეკკლესიები თავის ძვირფასი სამკაულით და ხედ-ხის ტიპი და ნაგება-დახურვა. არ არის ისეთი სოფელი, სადაც 4 დან 8 ეკკლესიამდე არ იყოს. ეკკლესიები სავსეა ძველებურ იარაღით, ოქრო-ვერცხლით მოჭედილ ხატებით; ხატებზე ქართულ-ბერძნული წარწერებია, არის ფარჩეულობა, ძველი ფული, ჯვრები, დროშები და სხვა საყურადღებო ნივთეულობა. ეკლესიების სიმრავლე, მათი აგებულება გვარწმუნებს, რომ სვანები ძველადვე ქრისტიანები ყოფილან. დ. ბაქრაძე ამბობს, რომ სოფელ ლატალის ეკკლესია ყოფილა სადარი მცხეთის ეკკლესიისა.

ტიპის მიხედვით სვანები ემსგავსებიან იმერლებს, რაჭველებს, ებრაელებს და თათრებს, თუმცა არის ისეთი სხვანაირი ტიპი, რომელიც მარტო სვანეთში მოიპოვება. ჩაცმულობა ძლიერ გვაკვირვებთ. სადადიანო სვანეთში სვანი ჰგავს იმერელს, ზემო სვანეთში უშკულელი—დებელ რაჭველს, მესტიელი ნამდვილ ოსს, ხოლო ქვემო სვანი—მეგრელს. ეს იმით აიხსნება, რომ სამუშაოდ, ფულის საშოვნელად სადადიანო სვანეთის სვანები მიდიან იმერეთსა და ქართლში, თავისუფალი სვანი, უშკულელები—რაჭაში, მესტიელები—ოსეთში და ქვემო სვანები—სამეგრელოში, ანუ „ზან“-ში, როგორც სვანები ეძა-

ხიან სამეგრელოს. რო შეუდგეთ გამოკითხვა-დათვალიერებას, აღმოაჩენთ დიდად საყურადღებო და საინტერესო ფაქტს: წინად სვანეთში ქალი და კაცი იცვამდა ქართულ კაბას. მამაკაცებს თავზე ეხურათ პატარა ქუდი—ფაფანაკი. მე რო ვნახე კაბები, ისინი უკვე გაფუჭებია ჩრჩილს. კარგი იქნება ქართულმა მუზეუმმა შეიძინოს რამდენიმე ქართული კაბა სვანეთში, სანამ სრულებით არ გამქრალა. რო შევეკითხე ფასი, მითხრეს 15—17 მანეთზე ნაკლებ არ გავყიდითო. ჩემის აზრით, ფასი ძვირი არ უნდა იყოს. დღეს ვერც ერთ სვანს ვერ შეჰხვდებით კაბაში მორთულს. საუკეთესო და მდიდარი სოფელი მესტია, რომლის შესახებ ერთ ძველ საბუთში სწერია („ძველი ოთხთავი"): „და შევიკრიბენით ჩვენ... (სვანნი)... შუა ქალაქში მესტიაში"... იწევს ოსეთისაკენ, ითვისებს იქაურ ტანისამოსს, ენას, ზნე-ჩვეულებას, სახელებს (მამუჩა, ბუქ-მურზა, ქაბახან, თათარხან და სხვ.). მესტიელს უფრო ოსური ლაპარაკი ეხერხება, ვიდრე სვანური, თუმცა იგი თითქმის ოთხ ენაზე ლაპარაკობს: სვანურ-ქართულ-მეგრულ ოსურზე. დღეს მესტიელი ეკონომიურად დამოკიდებულია ოსეთზე: იქ მიდის სამუშაოდ, მოჰყავს იქიდან საქონელი და ჰყიდის ამ საქონელს იმერეთ-სვანეთში. როგორც უშიშარი მთიელნი გადი-გადმოდიან თოვლიან ქედზედ და მოაქვთ და მოჰყავთ ცხოვრებისათვის საჭირო საქონელი. ციოუ და გელასსან ჯაფარიძეებმა და ჯანსუხ იოსელიანმა წლეულს სავაჭროდ ოსეთიდან 150 თავი ხარი ჩამორეკეს ცაგერში იარმარკზე გასასყიდად. ამნაირად სვანები შეიქმნენ შუამავალნი ვაჭრობაში კავკასიონის ქედის ორივე მხრივ მცხოვრებთა შორის.

ბევრს ჰგონია, რომ სვანთა დღენი უკვე დათვლილია, სვანეთი გადაგვარების გზას ადგიაო. ეს აზრი დიდად შემცდარია. ახლო დაკვირება სულ სხვას გეტყვისთ. სვანი ზურგითაც-კი ეზიდება სარჩოს ოთხი დღის სავალიდან. სვანი იმდენ სიმინდს ყიდულობს ცაგერსა და ქუთაისში, რომ ცაგერლებმა და ახლო-მახლო სოფლებმა ვერც-კი დააკმაყოფილეს სვანები, ფასიც-კი აუწიეს გორო[1] წინად იყო 60 კ. ეხლა 2 მან. მაგრამ მაინც სიმინდს ვერ იშოვით ცაგერში. ეხლა სვანები მიდიან პირ და-პირ ქუთაისში და მოაქვთ პური და სიმინდი. ეს გადაგვარების ნიშანი როდია. ზამთარს სვანი ანდომებს ფულის შოვნას და მიდის სამუშაოდ სადმე შორს. ზაფხულში უვლის ოჯახს. სვანი ისე მოწადინებულია სწავლას, რომ თავის ქონების ნახევარს მოგცემთ, ოღონდ-კი შვილი სადმე მიაღებინეთ. უშკულის საზოგადოებაში ერთმა ქალმა მარიამ კაკრიაშვილმა ერთ მოხელეს დაუჩოქა და თან ერთი ხარიც უძღვნა, ოღონდ ჩემი შვილი რომელიმე სასწავლებელში მიაღებინეო. მოხელემ, რასაკვირველია, უარი უთხრა; სოფ. მულახში გლეხმა ჯაჭვლიანმა ორი ძროხა მიართვა ერთ ძველ მასწავლებელს, ოღონდ შვილი, რომელსაც სვანეთში სასოფლო სასწავლებელი გაეთავებინა, სადმე მიაღებინეო და სხვ. მაგრამ სვანებს ძვირად თუ მიიღებენ სადმე, ამ მხრივ სვანებზედ უარეს მდგომარეობაში არავინ არ არის. საჭიროა რომელსამე სასწავლებელში ორიოდე მუდმივი ადგილი აღმოუჩინონ სვანების ბავშვებს. მხოლოდ ბოდბესა და მცხეთას მიიღეს რამდენიმე ქალი სვანი.

ძალიან, ძალიან ბევრი რამ ესაჭიროება სვანეთს, ვის აგონდება წიგნთ-საცავები ან სკოლები, ნეტა გზები ჰქონდეს, ფოსტა, ექიმი, საავადმყოფო. ამ ზაფხულს ივნისში ტფილისიდან გამოვიწერე წიგნები და სვანეთში მოტანის ნაცვლად, 5 სექტემბერს, როცა ქუთაისში ვბრუნდებოდი, ცაგერში დამახვედრეს. გაზეთებს და წერილებს ვინ ჩაგაბარებთ, თუ თვითონ თქვენ არ გაგზავნეთ კაცი ცაგერს ან ბეჩოს. გულს მხოლოდ ის ამშვიდებს, რომ სვანი მაინც უკან არ იხევს და მედგრად ებრძვის ცხოვრებას.

ვინმე ხვანი

ღამის დეპეშები

22 ოქტომბერი.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

ფუზანი, 20 ოქტომბერი („სტანდარტი"). როგორც იაპონიის მომქმედ ჯარიდან იუწყებიან, დღეს დილით დაზვერამ აღმოაჩინა, რომ რუსის უმთავრესი ჯარი შახესთან ყოფილა. ამასთან რუსები ნახევარ საათის განმავლობაში თოფებს ისროდნენ, რომელსაც ზარალი არ მოუყენებია. 14 ოქტომბერს დაჭერილი პოზიციები იაპონელებმა ნაღმებით გაამაგრეს.

ჩიფუ, 22 ოქტომბერი. დალნიდან გემით მოსული მგზავრები იუწყებიან, რომ გუშინ მთელი დღეს პორტ-არტურის მხრიდან ზარბაზნების სროლის ხმა ისმოდაო. იაპონელები პორტ-არტურთან განსაკუთრებულ კედლებს აგებენ, რომ ზღვიდან წყალი გადაგდონ და ამ რიგად რუსის თხრილები წალეკონ.

ჩიფუ, 22 ოქტომბერი. იაპონელებმა 13 და 14 ოქტომბერს რამდენჯერმე სცადეს რუსის ტრანშეებზე გადასვლა, მაგრამ რამდენიმე ათასი კაცი დაჰკარგეს.

ტიანძინი, 21 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფის კორესპონდენტი ბინეტ-ბერლეი იუწყება: „ოთხშაბათს, როდესაცმის ■ გემით ჩიფუდან ცინვანდაოში მივდიოდი, დილის 10 საათზე, დავინახე სამი აფეთქება, რომელიც ერთი მეორეს მოჰყვა. აფეთქებისა და აფეთქების შუა ერთი საათზე ნაკლებმა დრომ გაიარა. როგორც აღმოჩნდა, ეს აფეთქებანი მოახდინეს პორტ-არტურის ახალ ნაწილის დასაქცევად, უთუოდ ადგილის გასაწმენდად. მოწმენდილი ამინდია. იაპონიის ფლოტი ნაპირიდან მოშორებითაა, აღმოსავლეთით. მაგრამ რამდენიმე კრეისერი, საკანონირო გემი და კონტრ-ნაღმიანი გემი მაინც არტყია ლიაოტეშანს. რო მომესურვებინა, მოვახერხებდი პორტ-არტურის ნავთსადგურში შესვლას, რადგან სანაპიროზე თვალ-ყური არ ეჭირათ. მე დავრწმუნდი, რომ ძლიერი სიმაგრეები რუსებისა შესამჩნევად გაძლიერეს. წარსულ დეკემბრიდან მე ვნახე ღრმა თხრილები, რომელნიც გზას უღობავენ იაპონიის ჯარს. იაპონელთა დასავლეთის სიმაგრეებს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მიკადოს ჯარმა მხოლოდ მცირე მანძილზე წაიწია წინ. ციხე გამაგრებულია მაღალ მიუვალ სიმაგრეებით. სანიშნებელ მთაზე დგას ოთხი ანძა უმავთულო ტელეგრაფისა. ისე მომეჩვენა, თითქოს რუსები თვალ-ყურს ადევნებდნენ სამხრეთ სიმაგრეებიდან გემის მოძრაობას. მე დავინახე იაპონელთა დიდი ბანაკები, ვოლჩი გორისა და სხვა გორაკების სიმაგრეები. ვიმეორებ, მთელი ლიაოტეშანი, მტრედის ბუხტიდან დაწყებული ოქროს გორამდე ჯერ კიდევ რუსების ხელშია. შუადღისას იაპონელთა რამდენიმე ყუმბარა ნავთსადგურს თუ ახლო ქალაქს მოჰხვდა. ჩვენ წინ წაველით. იაპონელთა ორი ნაღმიანი გემი პორტ-არტურიდან გამოვიდა, ლიაოტეშანის სანაპიროს გაჰყვა, მაგრამ რუსებს არ უსროლიათ არც ხმელეთიდან, არც ზღვიდან. ჩვენ დაგვედევნა იაპონელთა კრეისერი საკანონირო და ნაღმიან გემებით. ერთმა შეიარაღებულმა ბუქსირმა ფუჭი ყუმბარა გაისროლა. კრეისერმა „ტაკასაგომ" გვანიშნა გაჩერებულიყავით. იაპონელები ჩვენ გემზე ამოვიდნენ, დაათვალიერეს და ნახევარ საათის შემდეგ გაგვიშვეს. როგორც „ტაკასაგო"-ს აფიცრებმა გვითხრეს, ჩვენ პორტ-არტურს ძალიან მივახლოვებულიყავით. ჩვენი მოძრაობა შეიძლება საეჭვოთ მიეჩნიათ. წინადადება მოგვცეს, ციხეს 20 მილზე მეტად არ მივახლოვებულიყავით. შემდეგ გვითხრეს, ცინდაოში წასასვლელად საჭიროა იაპონიის კონსულების ნება-რთვაო. აფიცრები ამბობდნენ, პორტ-არტურს რამდენისამე დღის შემდეგ ავიღებთო. ბოლოს გვკითხეს, თქვენ გემზე ფრანგები ხომ არ არიანო.",

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

21 ოქტომბერი

ტანჟერი, 21 ოქტომბერი. („ჰავასი"). გაზეთი „ტანი" დაწვრილებით იუწყება რა ჩვენებას მისცემს საგამომძიებლო კომისიას ჩრდილოეთის ზღვაში მეთევზეთა გემების საქმის შესახებ რუსის საადმირალო გემის უფროსი აფიცერი კლადო. ჩვენებაში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ ჩრდილოეთის ზღვაში ნათლად დაინახეს ორი ნაღმიანი გემი, რომლის შესახებაც სიგნალი მისცეს ჯერ სატრანსპორტო გემ „კამჩატკა"-დან და შემდეგ, როცა ამ გემებმა რუსის გემების გასწრება მოინდომეს, ვიცე-ადმირალმა როჟესტვენსკიმ ბრძანება გასცა, რომ ზარბაზნები გაესროლათ, თუმცა როგორც კი შენიშნეს მეთევზეთა გემი, მაშინვე თავი დაანებეს სროლასაო. საგამომძიებლო კომისია, უთუოდ ჰააგაში შეიკრიბება.

გიბრალტარი, 21 ოქტომბერი („რეიტ."). ინგლისის გემები ხუთი მილის მანძილზე გაჰყვნენ რუსის გემებს. გზაში სიარულის დროს ინგლისისა და რუსის გემები საბრძოლველად იყვნენ დამზადებულნი... ინგლისის კრეისერი „სიუფოლკი" საჩქაროდ იმზადებს ქვანახშირს და სადამოთი ტანჟერს წავა.

ჩიფუ, 21 ოქტომბერი („რეიტ. სააგ."). ამბობენ, იაპონელებს უკანასკნელ ბრძოლის დროს პორტ-არტურთან 20 ათასი კაცი მოუკლეს და დაუჭრეს. საავადმყოფოები სავსეა დაჭრილებით. აქამდე რუსებმა იაპონელების ყველა იერიში მოიგერიეს. იაპონელებმა რამდენიმე სიმაგრე აიღეს ფორტების წინ, მაგრამ თითონ პორტ-არტურის ფორტები-კი ვერ აიღეს.—ჩიფუში მცხოვრები იაპონელები ჰმოწმობენ, გუშინ ცუდი ამბავი მივიღეთო. ირწმუნებიან, რომ პორტ-არტურიდან დალნიში ყოველ დღე 500 დაჭრილი მოჰყავთო. ჰფიქრობენ, რომ თუ იაპონელები ფორტებს ვერ აიღებენ და შიგ გამაგრდებიან, მაშინ ზამთარშიც მოუხდებათ პორტ-არტურთან დგომა და ბრძოლაო.

ლონდონი, 21 ოქტომბერი („რეიტერი"). როცა გულში დახოცილთა გვამები გასინჯა, ასაფეთქებელ მასალის უმთავრესმა ინსპექტორმა კაპიტანმა ტომპსონმა სთქვა: მეთევზის გემები „მულმეინი", „შინო", „ხული" და „სნიპე" დავათვალიერე და დავრწმუნდი, რომ ამ გემებს რამდენსამე ადგილას პატარა მსწრაფლ-მსროლელ ზარბაზნების სამ გირვანქიან ყუმბარების ოდენა ყუმბარები მოხვედრიაო; „მულმეინ"-ს დიდი 15 სანტიმენტიანი ყუმბარა მოხვედრია. „შინო"-ს სამ გირვანქიანი ყუმბარა მოხვედრია და მეტად ღრმად შესულა; აქედან სჩანს, რომ ეს ყუმბარა მილის მეოთხედის მანძილიდანაა ნასროლი. „სნიპ"-ის შკიპერმა სთქვა: „გამეკის საზოგადოების გემები 40 იდგა; ამ გემებმა რუსის ესკადრის სიგნალის თანახმად ბადეები ამოიღეს. მაგრამ ზოგიერთი გემი კი სხვა მხარეს წავიდა. ყველა მოწამემ სთქვა, რომ ნაღმიანი ან სხვა რამ გემი მეთევზის გემებში არ გვინახავსო. ზოგიერთი რუსის სამხედრო გემი თითქმის ზედ მოადგა მეთევზის გემებს. რუსები ათ წუთს ესროდნენ მეთევზის ნავებს. როცა სროლა შესწყდა, დავინახეთ, რომ გემი „კრენი" იძირებოდაო.

ზანჯაი. 20 ოქტომბერი („რეიტერი"). იაპონიის არმიის მარცხენა ფრთამ პორტ-არტურთან ლიაოლიძუი აიღო, მარჯვენა ფრთამ იძუშანი,

სტამბოლი, 20 ოქტომბერი. კუნძულ კრიტის შეერთებულმა სათათბიროს დასმა გადასწყვიტა უარჰყოს საბერძნეთის პრინცის გიორგის წინადადება იმის შესახებ, რომ ამ კუნძულზე საბერძნეთმა თავისი ჯარი იყოლიოს. დასი თხოულობს, კუნძული სავსებით შეუერთდეს საბერძნეთს და სცდილობს, რომ კონსტიტუცია ხელ-ახლად განხილულ იქნას.—ინგლისის საგენერალო კონსული დაიბარეს ლონდონში კრიტის საქმეების შესახებ მოხსენების წარმოსადგენად.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორის ტახტზე ასვლის ათი წლის თავს პეტერბურგი ბაირაღებით იყო მორთული. ცივი ამინდი დგას. მზიანი დღეა, ეკკლესიებში წირვა გადაიხადეს დიდის ამბით. სამხედრო ეკკლესიებთან პარადი იყო გამართული. განსაკუთრებულის დიდის ამბით გადაიხადეს წირვა ყაზანის სობოროში. მწირველად იყო ყოვლად სამღვდელო ანტონი. დაესწრნენ დიდი მთავრები: ანდრია ვლადიმირის ძე, დიმიტრი კონსტანტინეს ძე, პეტრე ნიკოლოზის ძე და მისი უმაღლესობა გიორგი გიორგის ძე, ჰერცოგი მეკლენბურგ-სტრელიცისა. პარაკლისის დროს მიტროპოლიტმა ანტონიმ მუხლ-მოდრეკით სთქვა ამ დღისთვის დაწესებული ლოცვა. საღამოს ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 19 ოქტომბერი.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,85
პარიზისაზე 100 ფრანკში.	94,30
ლონდონისაზე ჩეკები	94,30
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,55
ბირჟის დისკონტი	6-7½%
4% სახელმწიფო რენტა	91⅞ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	89
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	416
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	319½
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	266½
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	89½
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	246 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამზაბეთობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს.(10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19
ღია არის დილით 10—2 საათ
„ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი სა[illegible] ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტერიანისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქ-ზუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლებში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულგულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი [illegible]ლიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ქუთაისში ფრანგების ქუჩაზე, საეკლესიო სახლებში 15 ოქტომბრიდან გაიხსნა საუკეთესო **რესტორანი**, რვა ოთახით სტუმრებისთვის, საუკეთესო სამზარეულოთი ყოველ გვარი საჭმელებით.

აქვე შეიძლება ცხენების დაბმა, რისთვისაც მომზადებულია კარგათ მოწყობილი თავლა. (4—5.—1)

ახალი გახსნილი
სასტუმრო **არკადია** ნომრები
(ყოფილი „იალტა")

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქროს მჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, პიქს არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. ქასპეულებით და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ვძლევთ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—61)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—ზოიმა ბაზანასი. . . .	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები . . .	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	2
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო .	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	7
იგივე II და III ტომი თითო .	—	
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა. .	—	
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	4
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო .	—	6
რაფ. ერისთავის I ტომი . .	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა .	—	
სიბრძნე ბალავარისა	—	
ადა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში .	—	
დვინის დაცენება, პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა	1	
კმერ მისივე	1	5
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა . . .	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	
ხენთო რაფეისა, თარგ. სომხურიდან ბ. ეგანგულოვისა	1	—

СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—69)

ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ, საზოგადოების წესდების მე-77 §-ის ძალით, მდგომარე წლის [illegible] ოქტომბერს, ნაშუადღევს 1 საათზე, საზოგადოების სადგომში, პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ სახლში მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიყიდება შემდეგი მამულები, რომელიც ბანკს დარჩა:

1. **რიბაკოვი პ. ი.:** მიწის ნაჭერი, ზომით 145 ოთკუთხი საჟენი, ორ-სართულიანი სახლი სარდაფითა და ოთხის ორ-სართულიანი ფლიგელით. მე-10 ნაწილში, პირველ [illegible] ქუჩაზე.

ამ მამულზე ამ ჟამად ითვლება თავნი ვალი 15,377 მან. 83 კაპ. და დარჩენილი გადასახადი—1231 მან. 71 კაპ.

2. **ტერ-პოღოსოვი ი. დ.:** მიწა, ზომით 100 ოთხკ., საჟენი, სამ-სართულიანი სახლი სარდაფითა და მინაშენებით. 1 ნაწილში, უდელნის ქუჩაზე.

ამ მამულზე ამ ჟამად ითვლება თავნი ვალი 21,039 მან 02 კაპ. და დარჩენილი გადასახადი—2457 მან. 99 კაპ.

ამ მამულების საჯარო ვაჭრობა დაიწყება იმ თანხიდან, რომელსაც დაასახელებენ მსურველნი. ამასთანვე საჯარო ვაჭრობის დამტკიცება დამოკიდებული იქნება საზოგადოების გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებულ კრებისაგან.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურს, იმან საზოგადოების კასსაში უნდა შეიტანოს ბედ თითო ზემოდასახელებულ მამულის საწინდრად 500 მან.

თუ მყიდველი მოისურვებს, შეიძლება სახელზე გადატანილ იქნას ამ მამულების ვალიც.

საჯარო ვაჭრობის დაწვრილებითი პირობები და დასახელებულ მამულების შესახებ ქაღალდები და საბუთები მსურველთ შეუძლიანთ გაიცნონ, აგრეთვე მიიღონ საჭირო ცნობები საზოგადოების გამგეობაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდე. (6—5.—3)

---

[1] გორო ორი ფუთია.

Дозволено цензурою, 22 октября 1904 г. სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—ბის". Электроп. „Груз. Изд. Т—ва".